www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 9 მარტი, 2009 წელი. №51 (2089) | ფასი 50 თეთრი

**ინტერვიუ თქვენს მეგობართან**
A8-9

**პრეს-ომბუდსმენი**
A3



**მოლაპარაკებები ავღანეთში აუცილებელია**
A7



**პატარა უჯრედებში ჩატეული სამყარო**
A10



# დედლაინი

## ანუ რა იყო ხვალ

დავით აფრასიძე

*"დედლაინი" ახალი ქართული სიტყვაა და გულისხმობს რაიმე საქმის შესასრულებლად დაწესებულ საბოლოო ვადას, "გადაულახავ ზღვარს". დემოკრატიის დასავლურმა ფონდებმა, შეიძლება, ბევრი ვერაფერი გვასწავლეს, მაგრამ ახალი ტერმინებით კი ნამდვილად გაამდიდრეს ქართული ენა. მოგეხსენებათ, 2004 წლიდან მოყოლებული, უცხოურ ფონდებთან მუშაობაში გამოცდილი სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი პოლიტიკაში გადაბარგდა, ჰოდა, დედლაინებმა იქაც იჩინა თავი. 23 თებერვალს ერთი ასეთი დედლაინი გამოცხადდა (თუ გაივლო) - 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტს რეფერენდუმი უნდა დაენიშნა და გაერკვია, სურს თუ არა საქართველოს ამომრჩეველს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ფონდებთან მუშაობაში გამოცდილებს კარგად მოეხსენებათ, რა ცუდი რამეა დედლაინის დარღვევა (თუ გადალახვა) - თავსაც დალუპავ და სხვასაც. სამოქალაქო ცხოვრება გამოვლილმა მთავრობამ კი დედლაინი არად ჩააგდო; 10 დღე გავიდა, 5 მარტი დადგა და ვითომც არაფერი მომხდარიყო.*

რა მოხდება ხვალ? ასეთ შეკითხვას დღეს ხშირად გაიგებთ. მომავლის განჭვრეტის უნარი უბრალო მოკვდავს არ აქვს. ამიტომ ეს შეკითხვა მარად უპასუხოდ დარჩება. ამის ნაცვლად, შეგვიძლია ვნახოთ, რა იყო გუშინ და ასე გამოვიტანოთ დასკვნები. მოდით, თანმიმდევრობით გავცეთ პასუხი სამ შეკითხვას: 1. რატომ არის დიდი მოლოდინი დიდი კრახის წინაპირობა? 2. რატომ არ აწყობს არავის პოლიტიკური დუღილი? 3. რატომ ვაკეთებთ იმას, როცა კარგად ვიცით, რომ არ უნდა გავაკეთოთ, ანუ ვიმეორებთ წარსულის შეცდომებს? გთხოვთ, ყველა კითხვას დაუმატოთ "როგორც წესი".

გაგრძელება A2 გვერდზე

# "მარშალის გეგმა" ცენტრალურ აზიაში

ივა შილაკაძე

*ამასწინანდელმა "საკრედიტო ბრძოლამ", რომელიც მოსკოვში ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის ჩარჩოებში ყირგიზეთის ეკონომიკის გადასარჩენად გაიმართა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რამდენად მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის უდიდესი ნაწილის ეკონომიკური განვითარება და როგორი მჭიდრო გავლენა შეიძლება იქონიოს "დიდმა პოლიტიკამ" ამა თუ იმ პირობით გაცემულ ფულზე.*

ყირგიზეთის მიერ რუსეთისგან მიღებული კრედიტის მთელმა ისტორიამ მხოლოდ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის რეგიონში გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა ასახა.

გაგრძელება A7 გვერდზე



ყაზახეთის და ჩინეთის ლიდერები.

AFP' 2009

24 საათი | The New York Times — Articles selected for 24 საათი | Weekend

**1 მარტიდან**

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## "მართლმადიდებლობის ზეიმი"

მართლმადიდებელმა ეკლესიამ გუშინ, დიდმარხვის პირველ კვირას, მართლმადიდებლობის ზეიმი" აღნიშნა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს მართლმადიდებლობის ზეიმი მიულოცა და ქადაგებისას ეკლესიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ეკლესია ვისთვისაც არ არის დედა, მისთვის ღმერთი არ არის მამა. ეკლესიის გარეშე, ამ საიდუმლოების გარეშე, ცხოვრება შეუძლებელია. ეს არის წმინდათა წმინდა ადგილი. მართლმადიდებლობა ეს არის უდიდესი საუნჯე კაცობრიობისა და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც არის მართლმადიდებლობაში, მისი მფარველობისა და მადლის ქვეშ. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დალოცოს, გადაარჩინოს და გაამთლიანოს საქართველო, - ბრძანა პატრიარქმა წმ. სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.

მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებლობის ზეიმს" მე-9 საუკუნიდან აღნიშნავს. მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიაში ხატმებრძოლობა წარმოიშვა, რომელიც თითქმის ერთ საუკუნეს გაგრძელდა. 842 წელს სპეციალურ კრებაზე ხატმბრძოლობა დაგმეს, ხატების თაყვანისცემა აღადგინეს და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადეს. ამის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს დიდმარხვის პირველ კვირას დღესასწაულობს.

დიდმარხვა 2 მარტს დაიწყო და 19 აპრილს უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## განკარგულება
## N167

**2009 წლის 6 მარტი ქ. თბილისი**

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატურების შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ**

1. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, 2009 წლის 7 მარტიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ყველას აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი უმაღლესი განათლებით.

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის კონკურსის სამდივნოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

ვ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: 0103, ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N 1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კონკურსის სამდივნო.

6. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში ქვეყნდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატთა სია.

7. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ე. შარაშიძე) შექმნას კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

**მიხეილ სააკაშვილი**

# დედლაინი, ანუ რა იყო ხვალ

პირველი გვერდიდან

### რატომ არის დიდი მოლოდინი დიდი კრახის წინაპირობა?

მსჯელობა რომ უფრო გასაგები იყოს, დავუშვათ, რომ სააკაშვილის რეჟიმი სასტიკი და უგუნურია. სხვა სიტყვებით, ხელისუფლებაში მისი ყოფნის თითოეული დღე ქვეყანას კატასტროფასთან აახლოებს (ბოდიში პლაგიატისთვის, ვერ ვიხსენებ ორიგინალის ავტორს). შესაბამისად, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ იგი ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ. მოდით, ახლა ვნახოთ, რამდენად ეფექტიანია გზა, რომელსაც დედლაინების მომხრეები გვთავაზობენ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სხვადასხვა დედლაინი არსებობს.

9 აპრილს თბილისში იწყება საპროტესტო აქციები. აქციების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ სააკაშვილის საათები დათვლილია და იგი 2013 წლამდე კი არა, ზაფხულამდეც ვერ იქნება პრეზიდენტი. რეფერენდუმის გზის მომხრეები უფრო "რაციონალურ" გზას მისდევენ. ისინი ამ საკითხზე სახალხო პლებისციტს მიმართავენ. 9 აპრილის აქციის ორგანიზატორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს დროში გაჭიმული პროცესია და რამდენიმე თვე ნამდვილად დასჭირდება. ამდენი დრო კი, როგორც აღვნიშნეთ, აღარ არის.

ტაქტიკური განსხვავებების მიუხედავად, ორივე გზას აერთიანებს რწმენა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ძალიან მალე შეიცვლება. შესაბამისად, ამ იდეის მომხრეებში მიზანმიმართულად ინერგება მოლოდინი, რომ ხელისუფლების ცვლილება, ფაქტობრივად, მხოლოდ დროის ამბავია. ამის მექანიზმად კი მიიჩნევა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელიც ხელისუფლებას იძულებულს გახდის, მოთხოვნებს დაყაბულდეს. პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიცია ისახავს პოლიტიკურ მიზნებს, რომლის შესრულების რესურსი გარანტირებული არ აქვს და მათი წარმატება ძალიან ბევრ ალბათობაზეა დამოკიდებული. ვნახოთ რამდენიმე: ოპოზიციის ეს სტრატეგია წარმატებული იქნება, თუ: 1. მოხერხდება მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზება (გამოკითხვებით კი, საპროტესტო ელექტორატი ახლოსაც არ არის 2003 წლის მაჩვენებლებთან); 2. შეძლებს ერთიანობას თუნდაც საპროტესტო აქციებზე (ლეიბორისტები არ აპირებენ 9 აპრილის აქციაზე მისვლას, ქობულეთში უკვე გამართულ აქციებს სხვა პარტიები არ შეუერთდნენ, ალბათ, იმ მიზეზით, რომ ეს აქციები "მათი მოწყობილი" არ იყო); 3. შეძლებენ სახელმწიფო ბიუროკრატიის, მათ შორის სამართალდამცველების სათავისოდ განწყობას (ამის ნიშნები საერთოდ არ არის) და ა.შ. როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრი "თუ" უნდა ახდეს, რომ მოლოდინები გამართლდეს.

გავიხსენოთ 2007 წელი, როცა ოპოზიციამ ხელისუფლების შესაცვლელად ტოტალური შეტევის ტაქტიკა აირჩია და უკან დასაბრუნებელი გზები მოიჭრა. 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების შემდეგ ეროვნული საბჭო იპოდრომის, სპორტის სასახლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამკუთხედში დაიკარგა და მის მხარდამჭერებში ნიჰილიზმი გაბატონდა.

ორიოდე სიტყვა ხელისუფლებაზეც, რომლის მაგალითიც ასევე ადასტურებს დიდი მოლოდინების პოლიტიკურ არაპრაგმატულობას. 2004 წლიდან საქართველოს ხელისუფლებაც რამდენიმე მიზნის განხორციელებას ცდილობდა: ეს იყო ტერიტორიული მთლიანობა (სააკაშვილი პრეზიდენტობის მეორე ვადას ამ საკითხს უძღვნიდა და სოხუმი ესიზმრებოდა); საზოგადოების მოდერნიზაცია და ეკონომიკური სასწაული (რის შემდეგაც ბათუმი ყველაზე ლამაზი ქალაქია შავი ზღვის აკვატორიაში). ხელისუფლებას ამ მიზნების ერთდროულად და რაც შეიძლება სწრაფად, ფაქტობრივად ორ ხუთწლედში, მიღწევა სურდა. როგორც აღმოჩნდა, ამისთვის არც პირობები და არც რესურსები არსებობდა. შესაბამისად, ხელისუფლებას დღეს მიზნების "ჩამოქვეითება" უწევს, სამოქმედო არეალს სოციალურ საკითხებზე ავიწროებს და ძალიან ბევრი მიმართულებით საზოგადოებასთან მოდერნიზაციულ კონფლიქტს ერიდება. საბოლოოდ, დავით აღმაშენებლის იდეალიც ჯორჯ ვაშინგტონმა შეცვალა.

### რატომ არ აწყობს არავის პოლიტიკური დუღილი?

ახლა ვნახოთ, რატომა არის "ნორმალური პოლიტიკა" მომგებიანი ყველასთვის ცალ-ცალკე და ყველასთვის ერთად. უმარტივესი ჭეშმარიტებაა, რომ შიდა აშლილობა, განსაკუთრებით გაუარესებულ საგარეო პირობებში, საქართველოს ყველაზე დიდი მტერია. თუ ვინმეს ეს არ ესმის, მსჯელობას აზრი არ აქვს. ამდენად, ამ საკითხს არ გავყვები და უფრო პრაგმატიზმის შიდაპოლიტიკურ დატვირთვაზე შევჩერდები.

აქვე ვთქვათ, რომ "ნორმალურობა" პირობითი ცნებაა და ამ შემთხვევაში მას მხოლოდ ისეთი პოლიტიკური პროცესის გამოსახატად გამოვიყენებთ, რომელსაც არა მხოლოდ პროცესი, არამედ შინაარსიც აქვს. უფრო ადვილი გასაგები რომ იყოს, შეადარეთ ერთმანეთს პოლიტიკური თოქ-შოუ, რომელშიც ორი პარტიის წარმომადგენელი გვარიანად ლანძღავს ერთმანეთს და თოქ-შოუ, სადაც ამ პატივცემული ადამიანებისგან თუნდაც სტატისტიკის დეპარტამენტზე სხვადასხვა მოდელების არგუმენტირებულ აზრებს მოისმენთ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რასაც საჯარო დებატების პროდუქტს - პოლიტიკის შინაარს უწოდებენ, არამედ თავად პოლიტიკის პროცესის ხასიათის შეცვლა - პოლიტიკის ტემპერატურა დაბლა იწევს და რევოლუციური დუღილისაგან თავისუფლდება.

რატომ შეიძლება ეს სტრატეგია მომგებიანი იყოს ოპოზიციისთვის? ამის სხვადასხვა არგუმენტი არსებობს, მაგრამ ყველაზე მთავარია პრაგმატიზმი. კერძოდ, რაც უფრო ზომიერია მოლოდინები, მით უფრო რეალისტურია მათი მიღწევა; ხოლო რაც უფრო მეტ მიზანს მიაღწევს პოლიტიკური ჯგუფი, მით უფრო გაიზრდება მისი რეიტინგი და სხვა მიზნების მიღწევის რესურსი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევას რომ მივუსადაგებთ, დედლაინები უნდა ეხებოდეს სრულიად სხვა საკითხებს - საარჩევნო კანონმდებლობას, სასამართლოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, ბიზნესგარემოს და ა.შ. გასაგებია, რომ ამგვარ პოლიტიკას უფრო მეტი რუტინა სჭირდება და შედეგსაც 10 დღეში არ მოგცემს, მაგრამ სხვა ალტერნატივა - ან ყველაფერი ან არაფერი, შეიძლება სწორედ არაფრით დასრულდეს.

### რატომ ვაკეთებთ იმას, რაც კარგად ვიცით, რომ არ უნდა გავაკეთოთ?

2006 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ "საქართველოს პოლიტიკური ელიტა: ხედვები და ღირებულებები" (ფონდი ღია საზოგადოება საქართველო ) საკმაოდ კარგად აღწერა ჩვენი პოლიტიკური ელიტის მოჯადოებულ წრეზე სიარული. პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, ისინი აღიარებენ "ნორმალური" პოლიტიკის უპირატესობას და საჭიროებას, მაგრამ, მეორე მხრივ, მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ ისინი ეზიარნენ, ხოლო სხვები უვიცები არიან და ქვეყანას დაღუპავენ ან სულაც მოღალატეობაში ედებათ ბრალი. "მე მაქვს სრულიად გულწრფელი განცდა იმისა, რომ ნებისმიერი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა (გარდა პარტიისა, რომელსაც ის წარმოადგენს, - მკვლევარის შენიშვნა), რომელიც არსებობს ამ ქვეყანაში, არის საფრთხე ქვეყნისთვის," - აი, ასე მსჯელობს ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსი, თანაც 2006 წელს, როცა პოლიტიკური ვნებათაღელვა ჯერ მხოლოდ ჰორიზონტზე თუ ჩანდა.

ეს გამოკვლევა კარგად აჩვენებს, რომ ნულოვანჯამიანი თამაში "ნორმალურ" პოლიტიკას, მათ შორის თანამშრომლობას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, შეუძლებელს ხდის. მეტიც, ასეთ პირობებში რთულია ოპოზიციური გაერთიანებების ფორმირება და თუ ასეთი ალიანსი მაინც შეიქმნა, მისი სიმტკიცე ძალიან სათუოა. შეიძლება შეიცვალოს ან არ შეიცვალოს სახეები, მათი ადგილები, მაგრამ ნამდვილად არ შეიცვლება შინაარსი, რადგან კარგად ვიცით, რა იყო გუშინ. ერთი საიმედო ისაა, რომ მომავალი მაინც უცნობია და არც წარსულზე და დედლაინებზე გვაქვს "დაგინებული".

# ოკუპირებული ტერიტორია - მუდმივი დაძაბულობის კერა

რუს ოკუპანტებს ახალგორის რაიონის სოფელ გარუბანში ტყვიაწამლის საწყობი აუფეთქდათ. აფეთქების შედეგად რამდენიმე რუსი ოკუპანტი დაიღუპა და დაიჭრა.

**"როგორც გავიგე, იარაღის საწყობის ტერიტორიაზე მანქანებში გარკვეულ სამხედრო აღჭურვილობას ტვირთავდნენ. დატვირთვის დროს რაღაც აუფეთქდათ, რამაც მთელი იარაღის საწყობის აფეთქება გამოიწვია. ზოგი იმასაც ამბობს, ოკუპანტებს ეზოში ცეცხლი ენთოთ, რომელიც საწყობის შენობას წაეკიდა და აფეთქების მიზეზი ის გახდა. თვითონ რუსები დეტალების გახმაურებას მაქსიმალურად ერიდებიან,"** - აღნიშნავს ახალგორის რაიონის გამგებელი ზურაბ ფიცხელაური.

ახალგორის რაიონში დღეს მომხდარი აფეთქების დეტალებზე საუბარს რუსული ნაწილის სარდლობა თავს არიდებს.

**აფეთქების მიზეზზე საუბარი რთულია. ტერაქტისა და დივერსიის ვერსიები ჯერჯერობით არ განიხილება,"** - აცხადებენ ნაწილის ხელმძღვანელობაში.

გუშინვე ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ე.წ. უშიშროების კომიტეტმა, რუსეთის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დივერსიული აქტი აღკვეთა. ე.წ. უშიშროების კომიტეტის განცხადებით, სოფელ არგვიცში, სადაც ამჟამად მოსახლეობა არ ცხოვრობს, ნახევრად დანგრეულ სახლში დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის ბაზა აღმოაჩინეს.

**ამოღებულია ავტომატი აკ-74, 4 რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, რომელთაგან ერთს თან ახლავს გამოყენების ინსტრუქცია ინგლისურ ენაზე, 4 ერთეული ხელყუმბარა, ასევე რუსული სამხედრო ფორმის, კომუფლირებული 3 ახალი კომპლექტი და 2 ახალი წყვილი სამხედრო ფახსაცმელი,** - აცხადებს ე.წ. უშიშროების კომიტეტი და დასძენს, რომ აღმოჩენილი იარაღი და მასალები შენობაში დაახლოებით ერთი კვირის წინ არის მიტანილი.

ამავე უწყების მტკიცებით, დადგენილია, რომ შენობას, სადაც იარაღი და საბრძოლო მასალები აღმოაჩინეს, 3 ადამიანის ფარულად განთავსებისთვის იყენებდნენ.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ირწმუნება, რომ ბაზას ქართული მხარე იყენებდა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დივერსიული აქტის მოწყობას გეგმავდა.

ოსური მხარის მიერ კიდევ ერთი ბრალდებაც ვრცელდება. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და სოფელ გრომის მოსახლეობის მტკიცებით, ბოლო დღეებში სოფელ აძვში, დაახლოებით, 20 ერთეული ჯავშანტექნიკა და 50-მდე შეიარაღებული ადამიანის გადაადგილება შეინიშნება.

ქართული მხარე ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროს შოთა უტიაშვილის განცხადებით, "დე ფაქტო ხელისუფლების მტკიცება, თითქოს "საზღვართან" მძიმე ტექნიკის მობილიზება ხდება, მორიგი დეზინფორმაციია და სიმართლეს არ შეესაბამება".

მისივე თქმით, ასევე დეზინფორმაციაა განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს სოფელ არგვიცში ქართული დივერსიული ჯგუფის იარაღის საიდუმლო სამალავი აღმოაჩინეს.

**"დე-ფაქტო ხელისუფლების მსგავსი სახის დეზინფორმაციის გავრცელება ნებისმიერ ფასად საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის კომპრომეტირებას ისახავს მიზნად,"** - მიიჩნევს უტიაშვილი.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტულმა რეჟიმმა რეპრესიების გატარება დაიწყო ახალგორის რაიონში დარჩენილი იმ ეთნიკური ოსური მოსახლეობის მიმართ, ვინც 2006 წლის 12 ნოემბერის სამხრეთ ოსეთის" ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

აღნიშნული საბაბით, 2009 წლის 4 მარტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის" სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააკავა ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, 59 წლის თამარ ჩაროევა და ადგილობრივი ადმინისტრაციის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, 55 წლის გივი ჩიგოევი. დაკავებულები ამჟამად ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მათ სამშობლოს ღალატში" დასდო ბრალი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, ედუარდ კოკოითის რეჟიმი რუსეთის მიერ ოკუპირებელ ახალგორის რაიონში მცხოვრები ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების მიმართ მსგავსი რეპრესიების განხორციელებას მომავალშიც აპირებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

## ნოდარ ლადარია

# მომავალ ორშაბათამდე!



დღეს მოკლე სტატია უნდა დავწერო იმ იმედით, რომ ბოლოს არ მოაჭრიან. ამ მოკლე სტატიას კი ერთი გრძელი ციტატით დავიწყებ: "**სიმართლე ისაა, რომ განახლებაზე ვლაპარაკობთ და არაფერს ვაახლებთ. სიმართლე ისაა, რომ თავს ვიტყუებთ, თითქოს ორიგინალურნი და შემოქმედებითნი ვიყოთ, მაგრამ არა ვართ. სიმართლე ისაა, რომ ვფიქრობთ, თითქოს ახალი კავშირების საშუალებით გვსურს განვითარება, მაგრამ კვლავაც ერთ ადგილას ვართ ჩარჩენილნი ჩვენი ყოფითა და მოქმედებით, ისევ იმ ილუზიაში ვართ, თითქოს სხვების ცვლილება გამოიწვევს ქვეყნის ცვლილებასაც, რომელსაც ის ნამდვილად ითხოვს. ასე არ არის, ძვირფასო მდივანო, რადგან რაღაცის შესაცვლელად ჩვენც უნდა შევიცვალოთ ... ცვლილებაში არ ვგულისხმობ მორალიზებას, ან პარტიის მეტ გამჭვირვალებას, არც ახალ და უფრო ღია პოლიტიკურ მიმართულებას. საქმე ისაა, რომ გავიგოთ, რა აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, რა იწვევს მის შფოთვას, ურჩობას, აშკარა უწესრიგობას, ირაციონალობას. რამ შეიძლება აქციოს ის საზოგადოებად, რომელიც არ მიიღებს სხვის სტრატეგიას, არამედ საკუთარის გამომუშავებას ისურვებს სამართლიანობის, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და ადამიანისადმი გულწრფელი მსახურების ნათელი ნიშნით ... სულ ეს არის. თუმცა კი პესიმისტი ვარ, მაინც ვისურვებდი, რომ იმაზე მეტი გაგვეკეთებინოთ, ვიდრე მე ოცნებას ვბედავ**".

არა, ეს სიტყვები "24 საათში" არ გამოუქვეყნებიათ, არც საქართველოს ტელევიზიის რომელიმე არხზე უთქვამთ... ამის მსგავსი ავტორი ჯერ არ მოიძებნა ჩვენს პოლიტიკოსთა შორის და სწორედ ეს არის ჩემი დღევანდელი წუხილის მიზეზი.

რაც შეეხება ციტატას, ჩვენ წინ არის ფრაგმენტი ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც მემარცხენე ტერორისტების ტყვეობაში ყოფნისას, იტალიელ ქრისტიან-დემოკრატთა ერთ-ერთმა ლიდერმა, **ამინტორე ფანფანისთან** ერთად პარტიის "ბედაურად" აღიარებულმა **ალდო მორომ** 1978 წლის გაზაფხულზე მისწერა მაშინდელ გენერალურ მდივანს, **ბენინიო ძაკანინის**. ალდო მორო ორჯერ იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი - 1964-68 და 1974-76 წლებში. 1978 წლის 16 მარტს გაიტაცეს "წითელი ბრიგადების" ბანდიტებმა, 9 მაისს კი მისი დაცხრილული გვამი რომის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე იპოვეს მანქანის საბარგულში.

დავივიწყოთ ტრაგიკული ისტორია, სიტუაციური კონტექსტი და ჯერ მხოლოდ აბსტრაქტულ პოლიტიკურ პერსპექტივაში განვიხილოთ ეს სიტყვები.

ქართველი ინტელექტუალი, რომელსაც მთელი სულიერი ენერგია არ შემოეძარცვა ინგლისური გამოთქმის დაძლევაში, ადვილად შენიშნავს ამ ციტატაში ჩვეულებრივ პოლიტიკურ ბლა-ბლა-ბლას, რომელსაც ქრისტიან-დემოკრატიის ძლიერი გემო დაჰყვება. ადვილია ქილიკი ამ პოლიტიკურად ნაივურ და პოპულიზმის ზღვართან მოფარფატე სიტყვებზე, მაგალითად, იმაზე, რომ საზოგადოება თურმე რაღაცას ისურვებს და ეს რაღაც ადამიანისადმი გულწრფელი მსახურება იქნება...

მაგრამ თუ მეტად ჩავუღრმავდებით ციტატას და აბსტრაქტულიდან კონკრეტულ ქართულ კონტექსტში განვიხილავთ მას, აღმოვაჩენთ, რომ საკითხი სხვანაირად დგას. უფრო მეტიც, განხილვა შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს.

პირველ, ყველაზე თვალსაჩინო ეტაპზე, დავინახავთ, რომ ციტატაში დანახული პრობლემა საოცრად ახლოსაა იმასთან, რაც ასე გვადარდებს დღეს საქართველოში. მართლაც, ილუზიებიცა და თავის მოტყუებაც არ გვაკლია, თან მართლაც რომ ჩარჩენილები ვართ და კარგა ხანია წინ ველარ ვიძვრით, სხვებსაც მივშტერებივართ და საკუთარი თავი ცამდე მართალი გვგონია, შფოთვა, ურჩობა, აშკარა უწესრიგობა და ირაციონალობაც ხომ ჩვენს განუყოფელ ატრიბუტად იქცა. მაგრამ ოდნავი ჭკუა და, რაც მთავარია, გემოვნება საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ამგვარი თანხვედრა არაფერს მატებს იტალიელის სიტყვებიდან გამოსატან აზრს, უფრო მეტიც, ათასგზის გადაცოხნილი თვითგვემის ჩვეულ ჩარჩოში აქცევს და აკნინებს მას.

მაგრამ საკმარისია კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ და მეორე ეტაპზე გადასვლაც არ გაგვიჭირდება. აქ კი აღმოვაჩენთ, რომ მიუხედავად უკვე აღნიშნული ცხადი პარალელებისა, ალდო მოროს წერილის შინაარსის, მისი მთავარი უწყების განხილვისათვის აქ, ამ ქვეყანაში არც დროა შესაბამისი და არც ადგილი. დამოუკიდებელი არსებობის მეცხრამეტე წელიწადს ჩვენ ჯერ კიდევ წარმოუდგენლად შორს ვიმყოფებით თუნდაც ამ პოლიტიკური ბლა-ბლა-ბლასაგან.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ქართველი "ქრისტიან-დემოკრატების" პირველი დღეები, როცა ჯერ კიდევ ქორფა პარტიის ყველაზე "ღია პოლიტიკური მიმართულება" კონტრაცეფტივების მავნებლობასა და ქართველი ბები-სიტერების ამერიკიდან დაბრუნებაზე ლაპარაკი იყო. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენმა ქრისტიან-დემოკრატებმა რამდენიმე ნაბიჯით მაინც წაიწიეს უკეთესად გაგების გზაზე? - არა, მათ მხოლოდ ძველი შემართება დაივიწყეს და მათი "პოლიტიკური კურსი" ახლა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენის შემჩნევასა და დამახსოვრებას მოასწრებენ დროის მოკლე მონაკვეთში, სანამ **მიხეილ სააკაშვილი** ტრიბუნიდან ჩამოვა, **გიორგი თარგამაძე** კი ტრიბუნაზე ავა. ან ქართველ კონსერვატორებს დავუგდოთ ყური, ვენახში ტრაქტორებისა და კომპიუტერების შეშვებას რომ ეწინააღმდეგებიან და ჰგონიათ, რომ კონსერვატორი ისაა, ვინც ყოველგვარ რეფორმას აბრკოლებს.

ლეიბორისტებზე არას ვამბობ - თავადაც იცით.

მაგრამ "რესპუბლიკელებს" კი ეკუთვნით ორი თუ სამი სიტყვა - თითო-თითო არჩევნებში დაგროვილ ყოველ პროცენტზე. ამათი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** "კურიერის" მეცხრე თუ მეათე "ნიუსის" სიმაღლიდან ლამის ვითარების ტოტალურ კონტროლზე მსჯელობს, მაგრამ საკმარისია მოხვდეს არცთუ ისე ხალხმრავალ დარბაზში, რომელიმე გონიერი მოკამათის, მაგალითად, **გია ნოდიას** პირისპირ, რომ მაშინვე გადაეწყოს სხვა ტონალობაზე და მოგვახსენოს, რომ ახლანდელი გაზაფხულისგან მისი პარტია არავითარ სერიოზულ შედეგს არ ელის, ხოლო "ახლებთან" (მგონი "ახლებთან", თუ ვცდები?) ალიანსი ოთხი თუ ხუთი წლის ხანგრძლივ მუშაობაზეა გათვლილი.

აქეთ კიდევ **ირაკლი ალასანია** აცხადებს, რომ მიუხედავად ულტიმატუმის ვადის გავლისა, პრეზიდენტმა არ *გამოიყენა* რეფერენდუმის დანიშვნის კონსტიტუციური უფლება. ესე იგი, უნდა გამოეყენებინა. რა დროს დისკურსის დახვეწილობაა! - ეს ბიჭუნები უფლებასა და ვალდებულებას ვერ არჩევენ ერთმანეთისგან. რა დროს ხედვის სიღრმეა! - იძულებულნი ვართ, "ზომიერებად" ისინი მოვნათლოთ, ვინც სააკაშვილის გადადგომის თარიღს კი არ ასახელებს, არამედ ამბობს, უპირობოდ უნდა გადავაყენოთო და არ აზუსტებს, როდის.

საქართველოს პრეზიდენტი კი იმასაც ვერ ხვდება, რომ ლამის ღმერთი გახდა თავისი პოლიტიკური ოპონენტებისათვის: მის მიღმა ვერაფერს ხედავენ. სააკაშვილის "გიგანტურმა" ფიგურამ დაუვსო თვალები, მე კი იძულებული ვარ, სიტყვა "გიგანტური" ბრჭყალებში ჩავსვა, რადგან დარწმუნებული არა ვარ, რომ ამის გარეშე ირონიას ჩაწვდებიან. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს დავუბრუნდეთ: იმის მაგიერ, რომ ქვეყნის მოდერნიზაციას მიხედოს, ისე მოქმედებს, თითქოს მართლაც საარჩევნო კამპანია ჰქონდეს გაჩაღებული და ისე იქცევა, რომ **მაისაშვილიც** კი ძნელად თუ იკადრებდა თავისი კარიერის პიკზე. ხან იტყვის, სკოლაში მთავარი ფიგურა მასწავლებელიაო, ხან მუზეუმიდან საპრეზიდენტო რეზიდენციაში სურათს გადაიტანს და მერე ისევ უკან დააბრუნებს, ხან საპატიმროების კარებს გახსნის და შემთხვევით გათავისუფლებული ავაზაკებით აავსებს მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს. ამ პირობებში კაცმა არ იცის, რა არის უფრო უარესი: აჭარელ პედაგოგთა ერთსულოვანი ტაში თუ ქართველი ჟურნალისტების ყეფა-წკმუტუნი.

ჰოდა, სწორედ ეს გონების ძილი წარმოშობს ათასგვარ ურჩხულს. მაგრამ აქაც უბედურებაა: რადგან ურჩხულებიც არ გვაღირსა გამჩენმა ნამდვილი და მრისხანე. რამდენიმე დღის წინათ შეწყალების კომისიის სხდომაზე ვიღაცა ალალად დაინტერესებულა: ეს საპატრიარქო რა სუბიექტია, რომელი წესით თუ კანონით არის განსაზღვრული, რომ შესაწყალებელთა სიები საპატრიარქოს არხით მოდიოდესო? ჩამოწოლილი უხერხული სიჩუმე ერთადერთმა პასუხმა დაარღვია გაუბედავად. პასუხმა კი არა და, კითხვამ: "**ვაიმე, ამას ტელევიზორშიც იტყვი?**".

ისტორიას ცრუ მოწმეები არ ჰყავს. მართალია თუ გამონაგონი, ორი კითხვისაგან შემდგარი ეს მოკლე დიალოგი სრულიად ადეკვატურად ასახავს საქართველოში დღეს არსებული საზოგადოებრივი დისკუსიის დონეს. ნეტა, ამ ტოკ-შოუებში რას გვთავაზობენ სალეჭად? ან რითი აივსება ის ყბადაღებული "პოლიტიკური არხი", რომლისათვის ნიადაგის მოსასინჯად იღწვის დღეს კვლავ "პირველ არხად" სახელგადარქმეული საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭო?

ჰოდა, არც არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია რამენაირად მაინც მივუახლოვდეთ იმის გაგებას, თუ რა გვაქცევს საზოგადოებად "**რომელიც არ მიიღებს სხვის სტრატეგიას, არამედ საკუთარის გამომუშავებას ისურვებს სამართლიანობის, თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და ადამიანისადმი გულწრფელი მსახურების ნათელი ნიშნით**". პასუხი - "მიშას გადადგომა" - არ მიიღება, გულუბრყვილობის კი არა და, სიბრიყვის გამო.

იქნებ ვინმემ მიმითითოს, სად მოიპოვება დღეს საქართველოში პოლიტიკური მსჯელობის ის დონე, რომლის შენარჩუნებას ალდო მორო "წითელი ბრიგადების" ტყვეობაშიც კი ახერხებდა? - არა, ვერაფერს ვიტყვი ულონობასა და უილაჯობაზე, რომელიც მსხვერპლად შეწირული პოლიტიკოსის ყოველი სიტყვიდან გამოსჭვივის. ვერაფერს ვიტყვი ამაზე, სანამ ჩემი ქვეყნის პოლიტიკოსთა ყველაზე ადეკვატურ თანამოსაუბრედ ვირი დარჩება...



## მარიონეტ მინისტრს ავტომობილი დაუწვეს

გუშინ სოხუმში მარიონეტული რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას ავტომობილი დაწვეს. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსი პაატა შამუგია აცხადებს, ინციდენტის მიზეზი, სავარაუდოდ, დე ფაქტო რეჟიმისა და რუსული ძალების დაპირისპირებაა.

აფხაზები და რუსული ძალების წარმომადგენლები უკვე ძალიან მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რუსეთს სურს, ყველა უწყებაში საკუთარი უშიშროების სამსახურის და სხვა სპეცსამსახურების თანამშრომლები დანიშნოს. ეს კი აფხაზებში უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ისინი ხვდებიან, რომ აფხაზური სახელმწიფოს შექმნის იდეა მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. ყოველივე ამის ნიადაგზე რუსებსა და აფხაზებს შორის დაპირისპირებამ უკვე ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო, - აღნიშნავს პაატა შამუგია.

სოხუმში ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის ავტომობილის დაწვის ფაქტს არ ადასტურებენ. ამის შესახებ აფხაზური საინფორმაციო სააგენტო აპსნი პრესის" ხელმძღვანელმა მანანა გურგულიამ განაცხადა.

ეს ინფორმაცია გადავამოწმე. ასვეე ვკითხე ჟურნალისტებსაც, მაგრამ ოთარ ხეციას ავტომობილის დაწვის ფაქტი არსად დასტურდება. მსგავსი ინფორმაცია არც პირადად მე მიმიღია", - დასძენს გურგულია.

**ინტერპრესნიუსი**

## პოლონეთის დახმარება

პოლონეთი საქართველოს რეგიონული რეფორმის მომზადებასა და განხორციელებაში დაეხმარება. ამის შესახებ პოლონეთის ეკონომიკური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ვიტოლდ სარტორიუსმა განაცხადა.

პოლონეთის რადიოს ინფორმაციით, ვარშავა, ბრიუსელი და ბერლინი 80 პროცენტით დააფინანსებენ სპეციალური ჯგუფის მუშაობას, რომელიც საქართველოსთვის ძირითად რეფორმებს მოამზადებენ და მხარს დაუჭერენ თბილისს მათ განხორციელებაში. სხვა კონკრეტული დეტალები რეფორმების შესახებ ცნობილი ჯერ არ არის.

**ინტერპრესნიუსი**

## ხელისუფლებამ ოპოზიციაში გადასული დიპლომატის შემცვლელი მოძებნა

ირაკლი ალასანიას თანაგუნდელ ვიქტორ დოლიძის შემცვლელი ეუთო-სა და ვენაში, სავარაუდოდ, რუსლან აბაშიძე იქნება. მისი კანდიდატურა პარლამენტში, სავარაუდოდ, დღეს შევა.

ეუთო-სა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლის ვაკანსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც ვიქტორ დოლიძემ თანამდებობა დატოვა, ოპოზიციაში გადავიდა და გაერო-ში ყოფილ ელჩ ირაკლი ალასანიას გუნდს შეუერთდა. რუსლან აბაშიძე ამჟამად რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეა. პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ეუთო-სა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ელჩის გარდა, კიდევ რამდენიმე ელჩის კანდიდატურა შევა, მათ შორის უზბეკეთში და ავღანეთში.

**ინტერპრესნიუსი**

## ოკუპანტებს - მიზერული ანაზღაურება

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მსახურობენ, დღე-ღამეში ანაზღაურების სახით 100 რუბლს მიიღებენ. ამის შესახებ რადიო ეხო მოსკვის ეთერში თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლუბოვ კუდელინამ განაცხადა. მისი თქმით, მთავრობის დადგენილების თანახმად, მშვიდობის იძულების ღონისძიების მონაწილეები 2008 წლის 8 აგვისტოდან დღეში 54 დოლარს იღებდნენ, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე დღე-ღამეში ანაზღაურების ნორმა სწორედ ასეთია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ამ სახელმწიფოებისთვის დღე-ღამეში ანაზღაურების ნორმა არ იყო დადგენილი და ამგვარად, გარკვეული სამართლებრივი ვაკუუმი შეიქმნა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რუსეთის ტერიტორიაზე სამსახურისთვის ანაზღაურება დღეში 100 რუბლს (4 ლარი და 74 თეთრი) შეადგენს, - განაცხადა კუდელინამ. მისივე თქმით, ამ სამხედრო მოსამსახურეების ანაზღაურება მას შემდეგ შეიცვლება, რაც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსულ სამხედრო ბაზებს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭებათ.

**ინტერპრესნიუსი**

# "პროდასავლური ავტორიტარიზმის" შესახებ

პაატა ლეიაშვილი
პროფესორი

საქართველოში საზოგადოებრივი ცნობიერება უკვე იმდენად არის განვითარებული, რომ ხელისუფლებაში ვეღარ მოვლენ დიქტატორები, ექსტრემისტები, კომუნისტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული დემოკრატიული გზით ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდეს ავტორიტარული, რუსეთის მარიონეტული მთავრობა (და ჩამოყალიბდეს "პრორუსული დემოკრატიის" რეჟიმი - ფორმით დემოკრატიული, არსებითად - ავტორიტარული"). საქმე ის არის, რომ თვით ეს დემოკრატიული კანონები და ინსტიტუტები, რომელსაც ნერგავს მთავრობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თანაბარ პირობებში აყენებს როგორც დემოკრატებს, ისე დემაგოგებს (პოტენციურ ავტორიტარებს). ამ კანონების თანახმად ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებამ. საზოგადოება კი, ჯერ ერთი, ძალზე არაერთგვაროვანია - საზოგადოების ნაწილი დემოკრატიულია, ნაწილი ავტორიტარია, დიდი ნაწილი კი საერთოდ ინდიფერენტული (მისთვის მთავარია მატერიალური კეთილდღეობა). მეორეც, ეს საზოგადოება იმყოფება ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ (სიღატაკე, ომი, სოციალური დაუცველობა). ვის აირჩევს ასეთი საზოგადოება - დემოკრატებს თუ დემაგოგებს?

იმის მიხედვით, თუ როგორ ხელისუფლებას აირჩევს ასეთი საზოგადოება, საქართველო შეიძლება განვითარდეს ან დემოკრატიული ან ავტორიტარული გზით. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ან პროდასავლური, ან პრორუსული ორიენტაცია, დამოუკიდებლობა ან რუსეთის დიქტატი. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ქვეყნის ხელისუფლებისათვის დიდია არჩევნების გაყალბების ცდუნება, რასაც იგი ამართლებს პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ასეთი მძიმე არჩევანის წინაშე არ დგას თანამედროვე დასავლეთი, რომლის კანონების კოპირებასაც ჩვენ ვახდენთ. დღეს იქ არ არსებობს საშიშროება, რომ დემოკრატიული გზით ქვეყნის სათავეში მოვა ავტორიტარული ხელისუფლება და მოხდება დემოკრატიის "თვითმკვლელობა". საზოგადოებაში მეტნაკლებად არსებობს თანხმობა ძირითადი დემოკრატიული ფასეულობების თაობაზე. ამიტომ, არჩევნებზე დემოკრატები გაიმარჯვებენ თუ რესპუბლიკელები, ამერიკისთვის არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც საქართველოსთვის იყო მნიშვნელოვანი, მოქალაქეთა კავშირი გაიმარჯვებდა თუ კომუნისტები, ან მომავალში - რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ თუ ლეიბორისტები.

ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დროს მკვეთრად იზრდება ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის როლი. რადგან ასეთ დროს საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის თავისუფალი თავის არჩევანში გაუყალბებელი არჩევნების პირობებშიც კი. როგორც უკვე აღინიშნა, იგი იმყოფება წნეხის ქვეშ - ომი, სიღატაკე, სოციალური დაუცველობა. არსებობს რისკი, რომ მიმდინარე პრობლემების დაძლევის სურვილი უფრო დიდ გავლენას მოახდენს მის გადაწყვეტილებაზე, ვიდრე ქვეყნის მომავლის ინტერესები. არადა, მიმდინარე პრობლემები შედარებით სწრაფად მოგვარდება, განვითარების ვექტორი კი დიდ ხანს დარჩება. ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა, მხოლოდ საზოგადოებას მიანდოს ქვეყნის მომავალი ისტორიულად გარდამტეხ ეტაპზე, უჩნდება მასმედიით და არჩევნების შედეგებით მანიპულირების სურვილი.

დღევანდელ საქართველოში პრობლემაა არა მარტო ის, რომ საზოგადოების ცნობიერებაში თანაარსებობენ ავტორიტარული და დემოკრატიული შეხედულებები. შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სიღარიბეში, ნაკლებად განათლებულია და ადვილად ტყუვდება დემაგოგიური დაპირებებით მაღალი პენსიების, დაბალი გადასახადების და უფასო ჯანდაცვის თაობაზე. დემოკრატიული ფასეულობები მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა და შესაბამისად ადვილად შეელევა პროდასავლურ ორიენტაციასაც კეთილდღეობის დაპირებების სანაცვლოდ. ასეთ დაპირებებს კი უხვად იძლევიან დემაგოგები. ეს ნიშნავს, რომ დემაგოგებს ჯერ კიდევ აქვთ დიდი შანსები ხელისუფლებაში მოსასვლელად. მით უფრო შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ დემოკრატები, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი.

დემოკრატიული რეფორმების პროცესში ხელისუფლებამ დემოკრატიული უფლებები საზოგადოებას უნდა მიანიჭოს თანდათან, დემოკრატიული ცნობიერების ფორმირების კვალდაკვალ. შესაბამისად, მართვის დემოკრატიული მეთოდებიც უნდა ჩაენაცვლოს ავტორიტარულ მეთოდებს თანდათან და არა ერთბაშად. თუ საზოგადოებას საერთოდ არ ექნება დემოკრატიული უფლებები, მაშინ იგი ვერ ისწავლის დემოკრატიას, ვერ განუვითარდება დემოკრატიული ცნობიერება, სათანადო პასუხისმგებლობა და ჩვევები. ამის მაგალითია ბელორუსი, რუსეთი, თურქმენეთი. ამ ქვეყნებში საზოგადოებას არ გააჩნია დემოკრატიული უფლებები. მაგრამ არც მოთხოვნილება აქვს დემოკრატიის, რადგან ავტორიტარიზმის პირობებში არ განუვითარდა ასეთი მოთხოვნილება. მეორეს მხრივ, თუ საზოგადოებას მიანიჭებენ მეტისმეტ უფლებებს, რომელიც წინ უსწრებს მისი მოქალაქეობივი პასუხისმგებლობის განვითარების დონეს, მაშინ მივიღებთ სახიფათო დისბალანსს - ბევრი უფლებები და მცირე პასუხისმგებლობა. ამას კი ცნობილია, საით მივყავართ - იწყება ანარქიით და მთავრდება დიქტატურით (ავტორიტარული რეჟიმით).

როდესაც დემოკრატიული უფლებები წინ უსწრებს დემოკრატიული ცნობიერების განვითარებას, მაშინ საზოგადოებაში იწყება უმართავი პროცესები. კანონდარღვევები ღებულობს ტოტალურ ხასიათს. ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ კარგავს კონტროლს, ხელიდან ეცლება ძალაუფლება. და თუ ამასთანავე ქვეყანა იმყოფება კრიზისის პირობებში (ომი, სეპარატიზმი, ეკონომიკური კრიზისი, სისტემური კორუფცია), რაც ხელს უწყობს უმართავ პროცესებს, მაშინ ხელისუფლება იძულებული ხდება, გარკვეულწილად შეზღუდოს დემოკრატიული უფლებები, მოახდინოს ძალაუფლების კონცენტრაცია. მაგრამ თუ ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღმასრულებელი ვერტიკალის გაძლიერებას, მაშინ ეს ხდება უკანონოდ. უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხელისუფლების შტოებსა და ინსტანციებს შორის, განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ძალოვანი სტრუქტურებისათვის, პირად ერთგულებაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკა - ყოველივე ეს რეგულირდება არა კანონით, არამედ პირველი პირის სუბიექტური მოსაზრებებით, ერთპიროვნულად.

ანუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძალაუფლების ცენტრალიზაცია, რომელიც განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით, ღებულობს ავტორიტარიზმის მახინჯ ფორმას. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოშიც საკმაოდ გვაქვს ამის მაგალითები: კერძოდ, გამსახურდიაც, შევარდნაძეც და სააკაშვილიც ხელისუფლებაში მოვიდნენ დასავლური ტიპის დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის სურვილით. არც ერთ მათგანს არ ჰქონია მიზნად ავტორიტარული ქვეყნის მშენებლობა. მაგრამ, ხელისუფლებაში მოსვლიდან საკმაოდ სწრაფად სამივე პრეზიდენტი იძულებული გახდა, მიემართა ქვეყნის მართვის ავტორიტარული მეთოდებისათვის. და ეს მოხდა არა იმდენად მათი პიროვნული თვისებების გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ თვით საზოგადოება არ იყო დემოკრატიული. თუ საზოგადოება ჯერ სათანადოთ ვერ აცნობიერებს, რომ დემოკრატია გულისხმობს კანონის დიქტატურას, რომ თავისუფლება არ ნიშნავს თვითნებობას და "რაც მინდა იმის კეთებას", მაშინ ზედმეტია ლაპარაკი კანონმორჩილებაზე. კანონმორჩილების გარეშე ზედმეტია ლაპარაკი მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით მართვაზე. ელემენტარული პოლიტიკური პრაგმატიზმი კარნახობ ხელისუფალს, რომ არადემოკრატიული საზოგადოების მართვას სჭირდება მართვის ადეკვატური მეთოდები. დროთა განმავლობაში ხელისუფლება მართლაც იძენს ავტორიტარიზმის ნიშნებს, რადგან არ გააჩნია მართვის სხვა გამოცდილება. ანუ საბოლოო ჯამში საზოგადოება თვითონ ხდის ხელისუფალს ავტორიტარად და შემდეგ თვითონვე აკრიტიკებს მას ამისათვის.

დემოკრატიული რეფორმების პროცესში სერიოზულ პრობლემებს ბადებს ის გარემოება, რომ კანონმდებლობა პირდაპირ გადმოღებულია დასავლეთიდან და არ ითვალისწინებს ტრანზიტული ქვეყნის თავისებურებებს. სხვა საკითხია, თუ რა მიზნებს ისახავს ასეთი ქვეყნის ხელისუფლება, თუმცა ფაქტია, რომ ექსტრემალურ პირობებში ქვეყნის მართვისათვის მას ობიექტურად სჭირდება ძალაუფლების ცენტრალიზაცია, მაგრამ ამის უფლებას მას არ აძლევს კანონი. ამიტომაც, ტრანზიტულ ქვეყანაში ნებისმიერი ხელისუფლება იძულებულია დემოკრატიულ მეთოდებთან ერთად თვითნებურად გამოიყენოს ავტორიტარული მეთოდებიც. პრობლემა მხოლოდ ის არის, თუ ვის ხელშია ხელისუფლება - დემოკრატების თუ ავტორიტარების.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თავისი მიზნების მისაღწევად დემოკრატებს დროებით ისევე სჭირდებათ ავტორიტარიზმი, როგორც ავტორიტარებს - დემოკრატია. ავტორიტარებისთვის დემოკრატია არის საშუალება ხელისუფლებაში მოსასვლელად, მიზანი კი არის ავტორიტარული რეჟიმის დამყარება და ხელისუფლების შენარჩუნება. ხელისუფლებისაგან ისინი მოითხოვენ მეტ უფლებებს (სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო), რათა შეცვალონ არსებული ხელისუფლება, შემდეგ კი შეზღუდავენ იგივე უფლებებს, რათა დარჩნენ ხელისუფლებაში. რადგან დემოკრატიული კანონები ხელს შეუშლიან ხელისუფლების შენარჩუნებაში პოლიტიკური კონკურენციის პირობებში. ასეთია მათი ბრძოლის ლოგიკა.

ამით აიხსნება ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა - დემოკრატიული გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში ავტორიტარული რეჟიმები, რომლებიც შემდეგ სპობენ დემოკრატიას (რუსეთში, ბელორუსში და სხვ. ამის მაგალითებია აგრეთვე სტალინის, ჰიტლერის, ჰუსეინის, მილოშევიჩის და სხვა რეჟიმები). ასეთ საფრთხეს ქმნის დემოკრატიული კანონები არადემოკრატიული ცნობიერების მქონე საზოგადოებაში.

დემოკრატების შემთხვევაში პირიქით. ავტორიტარული მეთოდები მათთვის არის საშუალება, ხოლო დემოკრატიული რეჟიმი - მიზანი. ისინი იძულებულნი არიან არ ითაკილონ ავტორიტარული მეთოდები იქამდე, სანამ ქვეყანაში შეუქცევადი გახდება დემოკრატიული პროცესები. ამიტომაც ჩამოყალიბდა საქართველოში (აგრეთვე უკრაინაში) "პროდასავლური ავტორიტარიზმი". ერთი შეხედვით ეს აბსურდია. "პროდასავლური" არ შეიძლება იყოს "ავტორიტარული". ეს ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. მაგრამ ხელისუფლება პროდასავლურია, რადგან მისი მიზანია დემოკრატიის მშენებლობა. ხოლო ავტორიტარულია, რადგან ამისათვის იძულებულია გამოიყენოს ავტორიტარული მეთოდებიც, თუნდაც იმიტომ (სხვა ამოცანებთან ერთად), რომ არ დაუშვას ისეთი ძალების მოსვლა ხელისუფლებაში, რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებენ ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციას და დემოკრატიულ ფასეულობებს. არადა ქვეყნის დემოკრატიზაციის საწყის ეტაპებზე ასეთი საშიშროება მართლაც არსებობს.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე მასმედიის და პოლიტტექნოლოგიების პირობებში შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი აზრის და მოთხოვნილებების ფორმირება. შესაბამისად, მასმედიაზე კონტროლის პირობებში ხელისუფლებას ეძლევა საშუალება, მისთვის სასურველი მიმართულებით ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და მოთხოვნილებები, შემდეგ კი დააკმაყოფილოს ისინი. ანუ ისე მოახდინოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და ისე წარმართოს საზოგადოება, რომ საზოგადოებას დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს მოქმედებს თავისი ნებით და არის თავისუფალი. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ აკონტროლებს ხელისუფლებას. უზურპატორი ხელისუფლება ხალხს ექცევა როგორც სახედარს, რომელიც მისდევს მის წინ ჩამოკიდებულ თივის კონას და ვერ ხვდება, რომ ვიღაც სხვა მართავს თივის კონას და განსაზღვრავს მისი მოძრაობის მიმართულებას. ამის ელემენტარულ მაგალითად გამოდგება თუნდაც შემდეგი ფაქტი. აგვისტოს ინტერვენციას თუ ნებისმიერ სხვა სერიოზულ პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ წინ უძღოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მართულ მასმედიაში მიზანმიმართული ანტიქართული პროპაგანდა. ანუ ჯერ ხდება საზოგადოებაში ანტიქართული განწყობების ფორმირება, შემდეგ კი ამ განწყობების შესაბამისი მოქმედება (ამიტომაც, როგორც კი რუსულ მასმედიაში იწყება ანტიქართული ისტერია, ქართველი პოლიტიკოსები უკვე წინასწარმეტყველებენ ახალ პროვოკაციას რუსეთის მხრიდან).

მაგრამ მასმედიის კონტროლის სურვილი მშენებარე დემოკრატიის ქვეყანაში შესაძლოა გაუჩნდეს დემოკრატიულ ხელისუფლებასაც, რათა შეზღუდოს დემაგოგების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. დემოკრატიის მშენებლობის პირობებში დემაგოგი პოლიტიკოსები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფრთხეს ქვეყნისათვის. საქმე ის არის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარები ხშირად გვევლინებიან სწორედ დემაგოგების სახით. დემაგოგების მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა და იქ დარჩენა, და არა დემოკრატიის მშენებლობა. რასაც, რა თქმა უნდა არასოდეს აღიარებენ და ამიტომაც ისინი ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ. ხოლო ყველა, ვისთვისაც მიზანია ხელისუფლებაში ყოფნა, და არა დემოკრატიის შენება, პოტენციური ავტორიტარია, რადგან ხელისუფლების შენარჩუნების გარანტიას იძლევა მხოლოდ ავტორიტარიზმი. დემოკრატიის პირობებში პირიქით, პოლიტიკური კონკურენცია უზრუნველყოფს ხელისუფლების მონაცვლეობას. ამიტომ პირობითად, ქართულ სინამდვილეში, ავტორიტარები და პოლიტიკური დემაგოგები შესაძლოა მოვიაზროთ ერთიდაიგივე კონტექსტში, თუმცა ეს განსხვავებული ცნებებია.

ანუ ვინც არ უნდა იყოს პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელისუფლებაში, მეტად თუ ნაკლებად იგი მიმართავს საზოგადოების მანიპულირებას ან თავისი, ან საზოგადოების ინტერესებში. მაგრამ ასეთი მანიპულირების შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი. მართალია, საზოგადოების უმეტეს ნაწილს გააჩნია სოციალური ადაპტაციის დიდი უნარი, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ხალხი ვერ შეეგუება ავტორიტარიზმის გაძლიერებას და აუჯანყდება ხელისუფლებას. ასევე არსებობს დემოკრატიული უფლებების ის ზღვარი, რომლის იქითაც წესრიგი შეიძლება გადაიზარდოს ანარქიაში. ცხადია, ამას ვერ შეეგუება დემოკრატიული ხელისუფლება და ნაწილობრივ შეზღუდავს დემოკრატიას. პოლიტიკური პროცესები მერყეობს ამ ორ უკიდურესობას შორის. საბოლოო ჯამში, ორივე ზღვარი განპირობებულია საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებისა და პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობის დონით.

დემოკრატიული რეფორმების პროცესში მართვის დემოკრატიული და ავტორიტარული მეთოდების თანაარსებობა გარდუვალია. თავდაპირველად დომინირებს ავტორიტარული მეთოდები, შემდეგ, დემოკრატიული ცნობიერების ზრდასთან ერთად, მათი როლი მცირდება და ისინი ადგილს უთმობენ დემოკრატიულ მეთოდებს. ეს არის ობიექტური კანონზომიერება. საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ უკიდურესად მძიმე პირობებში, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო, აუცილებელი იყო (სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხარისხით) ძალაუფლების კონცენტრაცია. რადგან შეუძლებელია არადემოკრატიული საზოგადოების მართვა მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით, მითუმეტეს ომის, კრიზისის, სიღატაკის, სისტემური კორუფციის, კრიმინალების თარეშის, ტოტალური კანონდარღვევების პირობებში (ასეთ პირობებში დასავლეთის ნებისმიერი დემოკრატიული მთავრობა იძულებული იქნებოდა, გაეძლიერებინა აღმასრულებელი ვერტიკალი). როდესაც კანონი ამას არ ითვალისწინებს, მაშინ ცენტრალიზაცია ღებულობს ავტორიტარიზმის ფორმას. ამიტომ ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია კანონშემოქმედებით პროცესში.

სამწუხაროდ ყოველივე ეს არ არის სათანადოდ გაცნობიერებული პოლიტიკური ელიტის მიერ. შესაბამისად, ეს ობიექტური კანონზომიერება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ვლინდება სტიქიურად, პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციის ფორმით. კანონზომიერებას კი არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა გავიცნობიეროთ და ჩავაყენოთ ჩვენი მიზნების სამსახურში.

დემოკრატიული გარდაქმნების პირობებში სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი ცნობიერება. ასეთ პირობებში, საზოგადოებისთვის შესაძლოა უფრო მალე გახდეს მიუღებელი მის მიერვე არჩეული ხელისუფლება, ვიდრე მოახლოვდება მორიგი არჩევნები. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ვერ გაამართლა მისი ნდობა. უფრო იმიტომ, რომ სწრაფად იცვლება თვითონ საზოგადოება, მისი მოთხოვნები. იგი აღარ ეგუება იმას, რასაც ეგუებოდა ადრე. ხელისუფლება აღარ ასახავს საზოგადოების პოლიტიკურ პრიორიტეტებს, რადგან შეიცვალა თვითონ პრიორიტეტები. ამიტომ, ერთსულოვნად არჩეულ ხელისუფლებას საზოგადოება ასევე ერთსულოვნად უპირისპირდება. ამიტომ საჭიროა, რომ დროებით, გარდამავალ პერიოდში - 1) უფრო მარტივი და დემოკრატიული გახდეს ვადამდელი არჩევნების დანიშვნის სამართლებრივი მექანიზმი და გაიზარდოს ოპოზიციის და საზოგადოების უფლებები ამ გადაწყვეტილების მიღებაში; 2) ექსტრემალურ პირობებში აღმასრულებელი ვერტიკალის გაძლიერებისათვის აუცილებელი პირობები კონსტიტუციურად ჩამოყალიბდეს ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ანუ, ხელისუფლებას მეტი უფლებები უნდა მიეცეს, საგანგებო ვითარებაში ქვეყნის მართვაში გამოიყენოს ასეთი ვითარებისათვის შესაფერისი მეთოდები. და საზოგადოებასაც მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს, გადაირჩიოს ხელისუფლება. ასეთ შემთხვევაში, აღმასრულებელი ვერტიკალის გაძლიერება აღარ იქნება ავტორიტარიზმის საფრთხე, არამედ იქნება ექსტრემალურ პირობებში მართვის ადეკვატური რეჟიმი. ამასთანავე, რადგან მართვის ასეთი რეჟიმი რეგლამენტირებული იქნება კანონით და არა ქვეყნის პირველი პირის თვითნებური გადაწყვეტილებებით, ამიტომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც ნაკლები იქნება. ერთის მხრივ გაიზრდება ხელისუფლების პასუხისმგებლობა. თუ იგი დაკარგავს ხალხის ნდობას, მას გადაირჩევენ. მეორეს მხრივ გაიზრდება ხელისუფლებისადმი ნდობა. ხალხს აღარ შეეშინდება ხელისუფლების უზურპაციის. ხომ ცხადია - უზურპაციის შესაძლებლობა ბადებს შიშს, შიში ბადებს უნდობლობას, უნდობლობა ბადებს დაპირისპირებას.

# ევროსასამართლომ ადამიანის უფლებათა ცენტრის განაცხადს ნომერი მისცა

*არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენელმა იოსებ პაპუაშვილმა ევროპის სასამართლოდან წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ ორგანიზაციის მიერ სტრასბურგში გაგზავნილ განაცხადს - აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა სარჩელს - სასამართლომ საქმის ნომერი მიანიჭა. ეს კი ნიშნავს, რომ ევროსასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და განიხილავს კიდეც.*

**ამ დღეებში სტრასბურგის სასამართლოდან მივიღეთ წერილი, რომლითაც გვამცნობენ, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი განაცხადი მიიღეს. საქმეს მიენიჭა ნომერი და სასამართლომ დამატებითი მტკიცებულებების წარსადგენად 7 აპრილამდე მოგვცა ვადა,"** - განაცხადა იოსებ პაპუაშვილმა.

მისი თქმით, ორგანიზაციამ სტრასბურგის სასამართლოში სულ 77 დაზარალებულის საქმე გადააგზავნა, რომელიც ერთ ჯგუფად გაერთიანდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი" ევროსასამართლოში გაგზავნილი განაცხადით ითხოვს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს, რომ რუსეთის მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ დაარღვია ევროკონვენციის რამდენიმე მუხლი. ადამიანის უფლებათა ცენტრი" კომპენსაციის სახით მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვს.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა დავით მანაგაძემ განაცხადა, მათ მიერ გაგზავნილ სარჩელებზე მოპასუხე მხარე რუსეთის სახელმწიფოა. სარჩელები შეეხება ყველა ტიპის დარღვევას, მათ შორის საკუთრების უფლებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას.

აგვისტოს ომთან დაკავშირებით სხვადასხვა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ევროსასამართლოში 230 საქმეა გაგზავნილი, რომლებშიც 700-მდე დაზარალებულია.

რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითმა კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მოისმინა ინფორმაცია ევროსასამართლოში გაგზავნილ სარჩელებთან დაკავშირებით. კომისიას ინფორმაცია გააცნეს: "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა", "ადამიანის უფლებათა ცენტრმა", "ემპათიამ", "21-ე საუკუნემ", "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ".

ჟურნალისტებთან საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა სოფო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ ევროსასამართლოში 49 სარჩელი გაგზავნა, რომელიც 340 დაზარალებულს შეეხება. აქედან, 48 ინდივიდუალური განაცხადი რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და მათ სარეგისტრაციო ნომერი უკვე მიენიჭათ. რაც შეეხება 49-ე სარჩელს, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და 7 აგვისტოს, ცხინვალის საარტილერიო დაბომბვისას დაღუპული რუსი ეროვნების მოქალაქის ახლობლებს ეკუთვნის. სარჩელი სასამართლოში ჯერ არ დარეგისტრირებულა, რადგანაც იგი სტრასბურგში მოგვიანებით გაიგზავნა.

სოფო ჯაფარიძის განმარტებით, სარჩელის განხილვას ევროსასამართლოში 6-7 წელი სჭირდება, მაგრამ თუკი კონკრეტული საქმე პრიორიტეტულად იქნება მიჩნეული, მის განხილვასა და დაკმაყოფილებას შესაძლოა, 3-4 წელი დასჭირდეს.

როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის გარკვეული კოორდინაცია არსებობს. მისივე თქმით, დაზარალებული პირების უფლებების დასაცავად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სერიოზული მუშაობა გაგრძელდება.

**საკუთარი ინფორმაცია**









*ფოტოები, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლების მიერ სოფელ დისევშია გადაღებული, თან ერთვის განაცხადს.*

# ბუფერული ზონის სოფლებში მარადიორობა გრძელდება

*იმის მიუხედავად, რომ ბუფერული ზონის სოფლები აღარ იბომბება, იქაური მოსახლეობა მაინც შიშის ქვეშ ცხოვრობს. კონფლიქტისპირა სოფლებში სროლები ყოველ საღამოს ისმის, ხალხი დაძაბულია და თავს ნათესავებთან, გვერდით სოფლებში აფარებს, - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი , რომლის ინფორმაციითაც, ბუფერულ ზონებში ქართული პოლიციის განყოფილებების გახსნა იგეგმება.*

ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, ბუფერული ზონის სოფლებში გრძელდება მარადიორობა - მოსახლეობა საქონელს უსაფრთხოდ საბალახოდაც ვერ უშვებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ, ქვემო ხვითში მცხოვრები მეწარმის ნოდარ მაისურაძის ფერმიდან დაუდგენელმა პირებმა 11 სული ძროხა მოიპარეს.

ფერმა ქვემო ხვითში, სოფლის დასახლებიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობს და როგორც ფერმის დარაჯი და მწყემსი გურამ ბითაძე ამბობს, მასთან ავტომატით შეიარაღებული ადამიანი მივიდა და ოსური აქცენტით უბრძანა, ძროხები ფერმის შემოღობილი ტერიტორიიდან გამოეყვანა და მას გაჰყოლოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრს გურამ ბითაძემ უთხრა, რომ შეიარაღებული კაცი, რუსულ ენაზეც საუბრობდა. როგორც გურამ ბითაძე აცხადებს, იგი თავდამსხმელს დაემორჩილა და გაჰყვა. 300-400 მეტრის გავლის შემდეგ, მათ სამი შეიარაღებული ოსი შეუერთდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ბითაძეს ოსებმა საქონელი ოსური სოფლის - წყუნარის მიმართულებით წაასხავანინეს. მურგუთის მინდვრებთან, რომელიც ქვემო ხვითის მიწებს ესაზღვრება და სადაც რუსულ-ოსური საგუშაგოა, მისვლის შემდეგ კი, მწყემსი გაათავისუფლეს.

**"მურგუთის მინდვრებს რომ მივუახლოვდით, გამათავისუფლეს. ცოტა ხანს თათბირობდნენ, მოვეკალით თუ არა. ბოლოს მითხრეს, გაიქეცი, თავს უშველეო. სოფელში ძლივს ჩამოვედი,"** - განუცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრს გურამ ბითაძემ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, მომხდარი მარადიორობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მეორე განყოფილებამ აღძრა. ორგანიზაცია აცხადებს, რომ შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსის ვლადიმერ ჯუღელის თქმით, "საქმე აღძრულია, თუმცა საქონელი ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღარ არის".

შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ბუფერულ ზონებში ქართული განყოფილებების გახსნა ჯერ ვერ ხერხდება, თუმცა საკითხი სერიოზულად განიხილება.

**საკუთარი ინფორმაცია**

## სასწავლო კურსების პრეზენტაცია ქალთა კოლონიაში

8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალთა კოლონიაში გაიმართა საერთაშორისო ასოციაცია ქალები და ბიზნესის" ხელშეწყობით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია. პროექტის ფარგლებში პატიმარი ქალები შეისწავლიან სხვადასხვა პროფესიას (კოსმეტოლოგია, თმის სტილისტი, გობელენზე მუშაობა, კულინარია, ბარმენი და მიმტანი).

ასოციაცია ქალები და ბიზნესი", NORLAG-ისა და PRI-ის ფინანსური მხარდაჭერით, კოლონიაში უკვე რამდენიმე პროექტს ახორციელებს.

ასოციაცია პატიმარ ქალებს ასწავლის ბიზნესის მართვას და დაგეგმარებას, ტურიზმის მენეჯმენტს, კერძოდ, საკუთარი სასტუმროების შექმნასა და მართვას, ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. პროექტის ფარგლებში უკვე გაიცა 121 სერტიფიკატი.

პროექტის პრეზენტაციას დაესწრნენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენლები. ქალ პატიმრებს გადასცეს სხვადასხვა სახის საჩუქრები.

საზეიმო ვითარებაში მოხდა 36 ქალი პატიმრისთვის სერტიფიკატების გადაცემა.

**მედიანიუსი**

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყაზბეგის რაიონში მცხოვრები, 1982 წელს დაბადებული ბეჟან ფიცხელაური დააკავეს.

სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულმა პატარა ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე თავის არეში მძიმე დაზიანებები მიაყენა 1963 წელს დაბადებულ თემურ ხმალაძეს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

**პირველი**

## გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს მეათე სესია

მიმდინარე წლის 9-13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე გიორგი ჩხეიძე ჟენევაში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-10 სესიას დაესწრებიან და სესიის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, სესიაზე სხვა თემებთან ერთად, წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის მანფრედ ნოვაკის ანგარიშიც იქნება წარმოდგენილი.

მოხსენებას გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებში, პროფესორი ვოლტერ კაელენიც წაიკითხავს. სახალხო დამცველი დებატებში მიიღებს მონაწილეობას და წამებასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ მოხსენებებს წარადგენს. ჟენევაში სახალხო დამცველი მანფრედ ნოვაკს პირადად შეხვდება. შეხვედრები ასევე ჟენევაში მოქმედი ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და გაერო-ს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთანაც არის დაგეგმილი.

**პირველი**

## ქიბარ ხალვაშის ადვოკატის მოთხოვნა

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრის, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატი მაკა ბერაია ხალვაშის საქმის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას და პარლამენტს კიდევ ერთხელ მიმართავს. "ჩვენ პარლამენტს და პროკურატურას ამ საქმის გამოძიების მოთხოვნით გასული წლის 1 დეკემბერს მივმართეთ, თუმცა გამოძიება კვლავ არ დაწყებულა. ხალვაშის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის პირველ ანგარიშშიც არის დაფიქსირებული. ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ პარლამენტს, შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს, ამავდროულად საქმის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურასაც მივმართავთ", - აცხადებს ადვოკატი მაკა ბერაია.

როგორც ცნობილია, ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა მისი კუთვნილი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ისა და ტელეკომპანია "მზის" წილების იძულებით, მუქარის გზით სხვა პირთა საკუთრებაში გადაფორმების ფაქტთან დაკავშირებით 2008 წლის 1 დეკემბერს პროკურატურას საჩივრით მიმართა და საქართველოს პარლამენტს ამ საქმის გამოსაძიებლად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოსთხოვა.

**პირველი**

# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
## თებერვალი, 2009



## მთავარი სიახლეები

- საქართველოს 1921 წლის ოკუპაციას საგანმანათლებლო კვირეული მიეძღვნა;
- სამინისტრო მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეების მაგისტრატურაში სწავლებას სრულად დააფინანსებს;
- ამიერიდან მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადები უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება;
- 2200-ზე მეტი საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი მაღალი ხარისხის ინტერნეტით იქნება უზრუნველყოფილი.

*ზოგადი განათლება*

### საქართველოს 1921 წლის ოკუპაციას საგანმანათლებლო კვირეული მიეძღვნა

18-დან 25 თებერვლის ჩათვლით საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლაში წითელი არმიის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციის ფაქტთან დაკავშირებით მრავალი საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ღონისძიება გაიმართა: მოსწავლეთა ნახატების გამოფენები, მხატვრული შემოქმედების საღამოები, ღია გაკვეთილები, ლიტერატურული აქციები, მინი-სპექტაკლები, დისკუსიები, მასობრივი მსვლელობები და ასფალტზე ხატვა. ისტორიკოსებმა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, ისტორიის პედაგოგებმა, საზოგადო მოღვაწეებმა ღია გაკვეთილები ჩაატარეს და საჯარო ლექციები წაიკითხეს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. კვირეულის ფარგლებში დაფიქსირდა მოსწავლეების უპრეცენდენტო აქტიურობა ბიბლიოთეკებში.

ორდღიანი ლიტერატურული აქციის ფარგლებში კი 50-მა მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ოკუპაციის თემაზე ორიგინალური ნაწარმოებები შექმნა. ამ აქციაში მონაწილეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ სერტიფიკატები და პორტატულ კომპიუტერები გადასცა. ლიტერატურულ აქციაზე შექმნილი მხატვრული ნამუშევრები და აქციის ფოტო-მასალა ალმანახად გამოიცემა და სასწავლო დაწესებულებებში გავრცელდება. სამინისტრო ასევე გამოავლენს საგანმანათლებლო კვირეულში მონაწილე ყველაზე აქტიურ ოც სკოლასაც.

### ამიერიდან მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადები 8 საგანსა და 5 სხვადასხვა კატეგორიას მოიცავს და ის უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება

სამინისტროს ახალი ინიციატივით, სასკოლო ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. სასკოლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება, საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის. სასკოლო ოლიმპიადებში ათასობით მოსწავლე ჩაერთვება, მათგან 10 გამარჯვებული ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. ასევე გამოვლინდება 10 საუკეთესო სკოლა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდება. სასწავლო ოლიმპიადას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს.

### 2200-ზე მეტი საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი მაღალი ხარისხის ინტერნეტით იქნება უზრუნველყოფილი

სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და "მაგთიკომს" შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს ყველა საჯარო სკოლისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინტერნეტში ჩართვას 2011 წლამდე, რაც ჯამში 2 280 საგანმანათლებლო დაწესებულებას მოიცავს. ხელშეკრულებას ხელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ,"მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა დავიდ ლიმ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ირაკლი თოდუამ მოაწერეს.

### განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია დედაქალაქის რ-ნის პედაგოგებს შეხვდა

ნიკა გვარამია ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდა-კრწანისისა 600-მდე პედაგოგს შეხვდა. მათთან ერთად მინისტრმა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სახელმძღვანელოების, სასწავლო პროგრამების, ხელფასების, სკოლების რეაბილიტაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისაუბრა, უპასუხა პედაგოგთა შეკითხვებს, მოისმინა საჯარო სკოლების წარმომადგენელთა მოსაზრებები. ამ ტიპის შეხვედრების შედეგად სამინისტრო რეფორმის მიმდინარეობას პედაგოგებთან ერთად აფასებს და რეფორმის დანერგვის ახალ გზებს მათთან კონსულტაციის შედეგად განიხილავს. შეხვედრების დროს მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ ამ რაიონების 20 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა.

### გორის რაიონის სოფელ დიცის სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

სკოლის გახსნას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია და "საქართველოს ბანკის" გენერალურ დირექტორი ირაკლი გილაური დაესწრნენ. დიცის საჯარო სკოლა რუსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან 500 მეტრში მდებარეობს, ომის დღეებში სკოლის შენობაში განთავსებული იყო რუსული ჯარის სამედიცინო პუნქტი. ოკუპანტებმა სკოლა გაძარცვეს და დაარბიეს. 2008 წელს შიდა სარემონტო სამუშაოები "საქართველოს ბანკის" დაფინანსებით განხორციელდა. სკოლის 260 მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში ისწავლის. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შიდა ქართლის რეგიონის 300-მდე პედაგოგს შეხვდა და პრეზიდენტის სტიპენდიანტ 15 პედაგოგს სერტიფიკატები გადასცა.

*პრეზენტაციები/კონფერენციები*

### სამინისტროში პროფესიული განათლების სტრატეგის საჯარო განხილვა მოეწყო

ევროკომისიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, პროფესიული განათლების ეროვნული სტრატეგიის (2009 – 2013) სემინარი მიეძღვნა, სადაც განხილული იქნა შემდეგი თემები: "საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების 2009-2013 წლების სტრატეგია", "პროფესიული განათლების სტრატეგია და ევროკომისიის სექტორული პოლიტიკის ხელშეწყობის პროგრამა", „დამსაქმებლებზე ორიენტირებული პროფესიული განათლება".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე სულხან სისაური, საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი , ქართველი და უცხოელმა ექსპერტები.

*უმაღლესი განათლება*

### განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეების მაგისტრატურაში სწავლებას სრულად დააფინასებს

გრანტები გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სხვადასხვა სპეციალობებზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლის უფლება უცხო ქვეყნის მაღალრეიტინგულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოიპოვეს. რეიტინგული უნივერსიტეტების ჩამონათვალი განისაზღვრება FINANCIAL TIMES-is და FORBES-is რეიტინგების მიხედვით შემდეგ სპეციალობებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება, მედიცინა და სხვ. (რეიტინგები იხ. www.georgia.gov.ge; www.mes.gov.ge;) განათლების და მეცნიერების სამინისტრო პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სსიპ - განვითარების და რეფორმების ფონდის მეშვეობით. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხის მიღების მიზნით გაცემული იქნება თანხა, რომლიც დაფარავს არა მარტო სწავლის, არამედ სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (საცხოვრებელი ბინის, მგზავრობის და სხვ). ამ პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 500 000 ლარია გათვალისწინებული.

### გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული განათლების მიღება განახლებული პროგრამებით განხორციელდება

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად 198 სტუდენტი სწავლობს შემდეგ სპეციალობაზე: მცირე ბიზნესის ადმინისტრირება; ბიზნესის ადმინისტრირება მშენებლობაში; სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის ადმინისტრირება. 2008 წელს 24 სასწავლო კურსი მომზადდა, დაიბეჭდა სახელმძღვანელოები და სწავლების ახალ მეთოდოლოგიებში 34 მასწავლებელი გადამზადდა. სასწავლო პროგრამები ადგილობრივი სპეციალისტებისა და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით განახლდა. გორის უნივერსიტეტის პარტნიორები პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების დაფინანსებას, მომზადებასა და დანერგვაში არიან: ამერიკის განვითარების სააგენტო (USAID), ამერიკის სათემო კოლეჯების ასოციაცია (CCID), კანადის სათემო კოლეჯების ასოციაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი.

### განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ფილიპ ს. ჯესაფის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესების ეროვნული რაუნდების ფინალს დაესწრო

ფილიპ ჯესაფის სახელობის საერთაშორისო საჯარო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესები გაეროს სასამართლოს სიმულაციას წარმოადგენს. შეჯიბრი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება და მასში 500-ზე მეტი იურიდიული სკოლის გუნდი მონაწილეობს 120 ქვეყნიდან. საქართველოში კონკურსი უკვე მეათე წელია იმართება და წელს მასში 3-მა გუნდმა და 12 სტუდენტმა იმონაწილევა. ფინალში გამარჯვებული გუნდი ვაშინგტონში საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. წელს შეჯიბრის თემებს შორის იყო: ჰუმანიტარული ინტერვენცია, ეთნიკური წმენდა და მისი რეგულირება საერთაშორისო სამართალში, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვ. „ჯესაფის" სახელობის ეროვნული შეჯიბრი განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

# "მარშალის გეგმა" ცენტრალურ აზიაში

პირველი გვერდიდან

სამიტზე სერიოზულად არავის განუხილავს ამ ბლოკის წევრების მიერ ერთობლივი მასშტაბური პროექტების განხორციელება ცენტრალურ აზიაში რეგიონის ეკონომიკის განსავითარებლად. როგორც ირკვევა, რამდენჯერაც არ უნდა შეიკრიბონ პოსტსაბჭოთა სივრცის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები, ეკონომიკური განვითარების რაიმე ერთობლივ გეგმაზე, თუნდაც იმავე ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში, ჯერ ფიქრიც არ ღირს. ძალიან რთულად მიდის რეგიონული ინტეგრაციაც. ამ ეტაპზე უფრო ძლიერია სახელმწიფოთა ინდივიდუალური გამიჯვნის ტენდენციები. არადა კრიზისის პირობებში უფრო ეფექტური იქნებოდა ერთობლივი მოქმედებები.

როგორც არ უნდა ცდილობდნენ ცენტრალური აზიის ლიდერები ყველას დარწმუნებას, რომ რეგიონი, მთელი რიგი მიზეზების გამო, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მსოფლიოს წამყვანი მოთამაშეებისათვის, სინამდვილეში ის მხოლოდ იქ დასახლებული ხალხებისთვის არის მნიშვნელოვანი და საჭირო. აშკარაა, რომ არც ერთი ქვეყანა, რომელიც რეგიონში თავისი პოლიტიკური თუ სამხედრო გავლენის დამკვიდრებას ცდილობს, არ აპირებს რეგიონში გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილ, ცენტრალური აზიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერიოზულ პროექტებში სოლიდური თანხის ჩადებას.

ყაზახეთსაც კი, რომელიც ეკონომიკურად მეზობლებზე შეუდარებლად ძლიერია, არ აქვს თავისუფალი ფული თანამედროვე ინფრასტრუქტურის (რკინიგზა, საავტომობილო გზები, მილსადენები და პორტები კასპიის ზღვაზე) შესაქმნელად. ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებზე ლაპარაკიც არ ღირს - ისინი ფულის, ნორმალურად მოქმედი მრეწველობისა და თანამედროვე გზების გარეშე, უბრალოდ, "იხრჩობიან". რეგიონში მსხვილი ერთობლივი პროექტების განხორციელება, დასაქმების თვალსაზრისით, სერიოზულად დაეხმარებოდა ამ ქვეყნებს თავიანთი ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემის, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სილატაკის დაძლევაში. ეს ქვეყნები (ყაზახეთის გარდა) მუქთა მუშახელის მთავარ მიმწოდებლებად იქცნენ. წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში მილიონობით ადამიანი ადგილზე დასაქმდებოდა. ამისთვის უცხოური ინვესტიციებია საჭირო. ის ქვეყნები, რომლებიც ამგვარ თანამშრომლობას დათანხმდებიან, ცენტრალურ აზიაში იმაზე უფრო მყარ დასაყრდენს მოიპოვებენ, ვიდრე ეს შეიძლება სამხედრო ბაზების განლაგებითა და მათ გარშემო გაჩაღებული ვაჭრობით მოხდეს. მაგრამ ცენტრალურ აზიაში არც შეერთებული შტატების და, მით უმეტეს, არც რუსეთის მხრიდან არანაირი სერიოზული ინვესტიცია არ განხორციელებულა. მოსკოვი და ვაშინგტონი ერთმანეთის პოლიტიკურ დამარცხებას რეგიონში სამხედრო ბაზების განლაგებით ან მათი იქიდან გაგდებით ცდილობენ.

იმას, რასაც სერიოზული ინვესტიციები სჭირდება და უაღრესად მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიისათვის, სხვები აშენებენ: ჩინეთი, ირანი, თურქეთი, ევროკავშირი. მაგალითად ტაჯიკეთში ძირითადი გვირაბები, რომლებიც ჩრდილოეთს და სამხრეთს ერთმანეთთან აკავშირებს, ირანის აშენებულია, ხოლო გზებს პამირში და დუშანბეს ჩრდილოეთთან დამაკავშირებელ საავტომობილო ტრასას ჩინელები აგებენ. თუმცა ამერიკელებმაც ჩადეს ფული იმ ხიდების მშენებლობაში, რომლებიც ტაჯიკეთიდან ავღანეთისა და პაკისტანის გავლით სპარსეთის ყურემდე მიდის. იმავე ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქმენეთში, რომლებსაც მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც სერიოზულ პარტნიორებად აღიარებენ, სერიოზული თანხა არც ერთ პროექტში არ იდება. გამონაკლისია ამერიკული ინვესტიცია ყაზახეთში, ნავთობის მოპოვებაში, ახლა იმავეს აპირებენ თურქმენეთში, მაგრამ სახეზეა კომერციული მიდგომა - დიდი ფინანსური რესურსი არ იდება არც ერთ ისეთ პროექტში, რომელიც ყაზახეთს ან თურქმენეთს უფრო სჭირდება, ვიდრე ინვესტორს. ასეთივე დამოკიდებულებაა რუსეთის მხრიდან. დისკუსია მიმდინარეობს გეოსტრატეგიაზე, სამხედრო პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, გავლენასა და ბაზების განლაგებაზე. საერთოდ იგნორირებულია რეგიონის პრობლემები. ერთობლივ პროექტებში ადგილზე მილიონების დასაქმება შეიძლება და მერე საჭირო არ იქნება კანონების მიღება რუსეთის ქალაქებში ცენტრალური აზიიდან შემოსული სამუშაო ძალის შესაზღუდად.

ქვეყანა, რომელიც შეიძლება რეალურად დაეხმაროს ცენტრალურ აზიას იმ ტიპის ინვესტიციებით, როგორიც რეგიონის სახელმწიფოებს სჭირდებათ, ჩინეთია. საინტერესოა, რომ ის ხალხი, რომლებიც მუდმივად აშინებენ მთელ რეგიონს "ჩინური ექსპანსიით", თვითონ ბოლომდე არ არიან გარკვეულნი იმ გეგმებში, რომლებიც ჩინეთის ხელმძღვანელობას მეზობელი ქვეყნების მიმართ აქვს. როგორც ჩანს, ჯერ თვით ჩინეთსაც არ აქვს შემუშავებული მკაფიო სტრატეგია ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში. ამის მაგალითად გამოდგება ჩინეთისა და აფრიკის ქვეყნების ურთიერთობა. დაახლოებით, 12-15 წლის წინათ ჩინეთის ხელმძღვანელობამ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ ქვეყანას ესაჭიროება რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი რესურსი და მისი მოპოვებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უნდა იბრძოლონ. განსაკუთრებული ყურადღება კი სწორედ "შავ კონტინენტს" მიაპყრეს. ეტყობა, ისიც გაითვალისწინეს, რომ აფრიკას გაუჭირდებოდა არსებობა მათი ინვესტიციების გარეშე. მას შემდეგ, რაც დაიწყო გეგმის - "ბუნებრივი რესურსები ინვესტიციების სანაცვლოდ" - განხორციელება, ცხადი გახდა, რომ სწორედ ჩინეთს შეუძლია უფრო ეფექტურად შეუწყოს ხელი აფრიკის სახელმწიფოებს სიღარიბის დაძლევაში, ვიდრე შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს არ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა აფრიკის ქვეყნებთან ყოველწლიურად 50 პროცენტით იზრდება. ჩინეთი დღეს იმდენ პროექტს ახორციელებს აფრიკაში და ისეთ თანხებს დებს, რაც დასავლეთს არც დასიზმრებია. მათ შორის სწორედ ისეთ პროექტებში, რომლებიც სიღარიბის დასაძლევად არის მიმართული (გზების, ხიდების, სკოლების, ჰოსპიტალების მშენებლობა, სამრეწველო პოტენციალის შექმნა) და რაშიც აშშ და ევროპა ინვესტიციებს არასდროს ჩადებენ. დღეს ჩინეთი აფრიკაში უხმაუროდ ახორციელებს "მარშალის გეგმის" მსგავს პროექტს, რისი არც საშუალება და არც სურვილი დასავლეთს არ ჰქონია. ცოტა ძნელია, დღეს დავინახოთ ჩინეთის გრძელვადიანი სტრატეგია აფრიკის მიმართ, თუ ის საერთოდ არსებობს. შეიძლება ერთ-ერთი მიზანი იყოს ამ ქვეყნებში ჩინელების მომრავლება (სამშენებლო პროექტების განხორციელების შემდეგ ჩინელი მუშები ადგილზე რჩებიან და თავიანთ მცირე ბიზნესს იწყებენ) და ნელ-ნელა ამ ქვეყნების შიდა პროცესებზე გავლენის მოხდენა.

აქამდე ჩინელები თავს იკავებენ ცენტრალურ აზიაში სერიოზული ინვესტიციებისგან - მათ შორის იმის გამოც, რომ გრძნობენ გარკვეულ შიშს ადგილობრივი ხელმძღვანელებისა და მოსახლეობისგან და ასევე არცთუ მთლად მეგობრულ დამოკიდებულებას ჩინური ინვესტიციების მიმართ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტებში. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ცენტრალურ აზიას ახლო მომავალში სხვა ქვეყნების იმედი არ უნდა ჰქონდეს და ჯობია, ჩამოაყალიბოს თავისი სტრატეგია ჩინეთის მიმართ, მათ შორის აფრიკაში ჩინელების საქმიანობის შესწავლის შემდეგ. რეგიონის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაც არ არის აუცილებელი. კოორდინაცია არც აფრიკის სახელმწიფოებს შორის არსებობს. მთავარი მაინც ჩინეთის ხელისუფლების მიდგომის ჩამოყალიბებაა - ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ცენტრალური აზია მათთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

## საფრანგეთმა ჯავშანტრანსპორტიორების წარმოება შეინარჩუნა

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ფინანსურმა დახმარებამ კომპანია "ნექსტერ სისტემს" საშუალება მისცა, "ევბისიაის" ტიპის ჯავშანტრანსპორტიორების წარმოება შეენარჩუნებინა. "ნექსტერ სისტემსის" წარმომადგენელ ლუკ ვინიერონის ინფორმაციით, 2009 წელს კომპანია 96 ჯავშანტრანსპორტიორს გამოუშვებს, როგორც ამას მოქმედი ხელშეკრულებები ითვალისწინებდა. 2008 წელს "ნექსტერ სისტემსმა" საფრანგეთის არმიას 41 ჯავშანტრანსპორტიორი მიაწოდა. ვინიერონის განცხადებით, კომპანიის შემოსავალი მაინც შემცირდა. 2008 წელს "ნექსტრე სისტემსმა" სუფთა მოგების სახით 99 მილიონი ევრო მიიღო. ეს მაჩვენებელი 2007 წელს 151 მილიონ ევროს შეადგენდა. კომპანიის შეკვეთების პოტრფელი 2009 წელს 560 მილიონ ევროს შეადგენს. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ერვე მორენმა 2008 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ 26-მილიარდიანი საერთოეროვნული გეგმიდან 2,3 მილიარდი ევრო სამხედრო მრეწველობაში ჩაიდება, რაც საფრანგეთს სამხედრო პროფილის საწარმოებში სამუშაო ადგილების შენარჩუნების საშუალებას მისცემს. მორენმა ისიც აღნიშნა, რომ 2009 წელს საფრანგეთი თანამედროვე შეიარაღების შესყიდვისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს 20 პროცენტით გაზრდის. მისი თქმით, მსოფლიო ფინანსური კრიზისი ავტომატურად სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას არ გამოიწვევს.

**მედიანიუსი**



ქართულმა ეკონომიკურმა სამეცნიერო და პედაგოგიურმა საზოგადოებამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ იოსების ძე თეთრაული.

არჩილ იოსების ძე თეთრაული დაიბადა 1935 წელს თიანეთში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1959 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი მუშაობდა გარდაცვალებამდე. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში იგი იყო უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე და საბაზრო ეკონომიკის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი. ინსტიტუტში მუშაობის წლებში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მეცნიერმა და მეცნიერების ორგანიზატორმა. მან თავისი მოღვაწეობით განსაკუთრებული, ორიგინალური კვალი დაატყო ინსტიტუტის საქმიანობას.

1971 წელს პროფესორი არჩილ თეთრაული იცავს საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაციას.

პროფესორ არჩილ თეთრაულის მიერ შესრულებულია 110-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 10 მონოგრაფია, რომელთაც მაღალი აღიარება ჰპოვეს ეკონომიკურ წრეებში. მისი მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი მეტად ფართოა, იგი მოიცავს როგორც ეკონომიკური თეორიის, ისე მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის პრობლემებს. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება კვლავწარმოებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებათა როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის პრობლემათა დამუშავებაში.

პროფესორი არჩილ თეთრაული სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი წარმატებით კითხულობდა ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. დიდია მისი დამსახურება საქართველოში სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში.

პროფესორ არჩილ თეთრაულის ინიციატივით დაარსდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი კომერციული სასწავლებელი - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, რომლის უცვლელი რექტორი თავად იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფესორ არჩილ თეთრაულის მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკური პროფილის ჟურნალების რედკოლეგიებში.

ცხოვრებიდან წავიდა უაღრესად პრინციპული, მაღალი ერუდიციისა და ინტელექტის მქონე კეთილშობილი პიროვნება, თვალსაჩინო მეცნიერი, საუკეთესო აღმზრდელი და თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი. მისი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების გულებში.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი**

# მოლაპარაკებები ავღანეთში აუცილებელია

ხათუნა ბაბიევი

გავლენიან გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსთან" ინტერვიუში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთის პრობლემასა და რადიკალური ორგანიზაციების მიმართ პოლიტიკაზე ისაუბრა. ცნობისთვის, ობამა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოთქვამდა მოსაზრებას შეესწავლათ ავღანეთში არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების ზოგიერთ საველე მეთაურთან მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობა, რათა დაერწმუნებინათ ისინი, ჩამოშორებოდნენ რადიკალურ წინააღმდეგობას. ასე რომ, ავღანეთის საკითხის დასარეგულირებელ აუცილებელი ზომების შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტი კვირას მიცემულ ინტერვიუშიც საუბრობს.

მისი აზრით, შერიგების ისეთი ფორმა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა ერაყში, შესაძლოა "მნიშვნელოვანი ინიციატივა" გამოდგეს ამჯერად უკვე ავღანეთში.

**"შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ცენტრალური სამეთაურო შტაბის ხელმძღვანელის, გენერალ პეტრეუსის აზრითაც, ერაყში მიღწეული წარმატება დიდად იყო განპირობებული იმ პირებთან ურთიერთობებით, რომლებსაც, პრინციპში, ვაიგივებდით ისლამისტ ფუნდამენტალისტებთან. თუმცა, ისინი ჩვენთან სათანამშრომლოდ მზად აღმოჩნდნენ, რადგან ზურგი აქციეს "ალ ქაიდას" ერაყში გამოყენებული ტაქტიკის გამო,"** - აღნიშნა "ნიუ-იორკ თაიმსთან" ინტერვიუში ბარაკ ობამამ.



AFP ' 2009

ბარაკ ობამა დიალოგისთვის მზად არის

თუმცა, თეთრი სახლის ახალი ლიდერი შიშობს, რომ ავღანეთში წინააღმდეგობის ზომიერ ფრთასთან კონტაქტები შესაძლოა ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდეს, ვიდრე ეს ერაყის შემთხვევაში მოხდა.

**"ავღანეთში არსებული ვითარება გაცილებით რთულია. ამ რეგიონის მართვა კიდევ უფრო ძნელია, რადგან საქმე გვაქვს მრავალრიცხოვან ტომებთან, რომელთა მოქმედების პროგნოზირება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამიტომ შედარებით ნაკლებად სახიფათო ელემენტებთან საერთო ენის გამონახვა არანაკლები გამოწვევაა ჩვენთვის,"** - განმარტა მან ასევე ავღანური სიტუაციის სირთულის მიზეზიც.

ამჟამად ავღანეთში დისლოცირებულ საერთაშორისო ძალებში ნატო-ს წევრი 26 ქვეყნიდან და 15 პარტნიორი სახელმწიფოდან 56, 4 ათასი სამხედრო პირი მსახურობს, მათ შორისაა 24,9 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. დამატებით 13 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე კი ავღანეთში კოალიციური ძალებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ბარაკ ობამამ მიმდინარე წლის 17 თებერვალს განკარგულება გასცა, აღნიშნულ რეგიონში ზაფხულამდე კიდევ გაიგზავნოს 17 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. რაც შეეხება 2001 წლიდან ავღანეთში ცოცხალი ძალის ზარალს, ამერიკამ 588 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, ხოლო 2.7 ათასი პირი დაიჭრა.

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებულ
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რო
მსოფლიოში მიღ
ენდობა!

(8 22) 9

w

ბანკი რეს
BANK REP

ჯგუფი სოსიეთე ჟენერ

CMYK - 8

ლსაც
ობით მეანაბრე

55 55

w.republic.ge

ბლიკა
UBLIC

# ინტერვიუ
# თქვენს მეგობ

*ის ნამდვილი მეგობარია: მუდამ თქვენს გვერდითაა, ყოველთვის მზად არის დასახმა*
*თქვენს სურვილებს და, რაც მთავარია, მუდამ შეგიძლიათ ენდოთ. დღეს ის უდავო ფ*
*მსურველების რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ჩვენც სწორედ მას ვესაუბრეთ იმი*
*მსგავსი მასშტაბის ყურადღება.*

## თქვენ მიგიჩნევენ განსაკუთრებულ მეგობრად, რატომ?

ჩემი ახლადშეძენილი მეგობრების აზრით ვარ ძალიან სანდო. მ
ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჰქონდეთ.

## და მაინც, ვინ არის „მეგობარი"?



მე ვარ „მეგობარი" ანაბარი და სულ ცოტა ხნის წინ მოვევლინე საზოგადოებას ბანკ „რესპუბლიკისგან".

## თქვენი მეანაბრეების რაოდენობა დღითი დღე იზრდება, რამ განაპირობა ეს?

- მე წარმოვადგენ ერთადერთ ანაბარს, რომელიც მუდმივად თქვენს გვერდითაა. ანუ ანაბრიდან თანხის გამოტანა ან დამატება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ბანკ „რესპუბლიკის" ყველა ფილიალიდან.

  თქვენი ანაბარი, სურვილის შემთხვევაში, განთავსდება საბანკო ბარათზე, რომლითაც შეგეძლებათ გამოიტანოთ თქვენი დანაზოგი და სარგებელი ნებისმიერი ბანკომატიდან ან ბანკიდან ნებისმიერ დროს.

- ამასთანავე მიიღებთ 10%-მდე სარგებელს.
  და კიდევ:

- თქვენს დანაზოგს უსაფრთხოდ შეინახავთ – ჯგუფ „სოსიეტე ჟენ
  ადამიანი ენდობა მსოფლიოში, ბანკი „რესპუბლიკა" კი ამ ჯგუფ

## ვიმეგობროთ?

ვიმეგობროთ.

**P.S.** „მეგობარმა" ანაბარმა ყველას წარმატება და ფინანსურად სა
გისურვათ და გადმოგცათ, რომ წარმატება მეგობრობაშია, ის კი
თქვენთან სამეგობროდ!

## მე უკვე გავხდი მისი მეგობარ

## ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კონცერტი

კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის, სამხედრო საჩვენებელი ორკესტრის კონცერტი გაიმართა.

ორკესტრს, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პოლკოვნიკი პავლე ფირცხალაიშვილი დირიჟორობდა. პროგრამა ქართველი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებისგან შედგებოდა. ღონისძიება ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს მიეძღვნა.

ორკესტრის კონცერტს შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე ქალბატონები დაესწრნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ფოტოკონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ფოტოკლუბ "გრაფის" მიერ ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვებული მოყვარული ფოტოგრაფები დაჯილდოვდნენ. დაჯილდოების ცერემონია თბილისში, კომპანია "არსის" გალერეაში გაიმართა.

პირველ ადგილზე სოფიო აბუთიძე, მეორეზე ავთანდილ მამულია, მესამეზე კი ნუცა პაპუაშვილი გავიდნენ. პირველი ადგილის მფლობელს გადაეცა 300 აშშ დოლარის, მეორე ადგილის მფლობელს 200 აშშ დოლდარის, მესამე ადგილის მფლობელს კი 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტა.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში განაცხადეს, კონკურსი ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს მიეძღვნა და ის ქალთა წინააღმდეგ ძალადობას შეეხებოდა. კორკურსანტს სამი სლოგანიდან ერთ-ერთი უნდა აერჩია. ესენი იყო: ძნამდვილი მამაკაცები ქალზე არ ძალადობენ", ძქალზე ძალადობა სირცხვილია" და ძნუ დაჩაგრავ ქალს!"

სლოგანის დიზაინი შეზღუდული არ იყო. ნამუშევარში გრაფიკული ჩარევაც დაიშვებოდა.

კონკურსში მოყვარული და პროფესიონალი ფოტოგრაფები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წამომადგენლებისგან დაკომპელქტებულმა სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა.

ასოციაცია იტოვებს უფლებას, გამარჯვებული ნამუშევრები არაკომერციული მიზნებისათვის, ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიებში გამოიყენოს და ისინი პოსტერზე, ბილბორდზე, ბროშურის ან წიგნის ყდაზე განათავსოს.

ღონისძიება ჩატარდა პროექტის - "ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა" - ფარგლებში, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ხორციელდება.

დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოდგენილი იყო ასოციაციის დაკვეთით გადაღებული სარეკლამო სოციალური კლიპი, რომელიც ქალზე ძალადობის წინააღმდეგ პროექტის ფარგლებში მომზადდა.

**მედიანიუსი**

## რუსეთი "ევროვიზია 2009-ზე" კონსტანტინე მელაძის დაწერილ სიმღერას წარადგენს

რუსეთში, ევროვიზიის შიდა შესარჩევ კონკურსში, წარმოშობით უკრაინელმა მომღერალმა ანასტასია პროხოდკომ გაიმარჯვა, რომელიც "ევროვიზია 2009-ზე" ქართველი კომპოზიტორის და პროდიუსერის, კონსტანტინე მელაძის დაწერილ სიმღერას იმღერებს. სიმღერის ტექსტი უკრაინულია.

აღნიშნულმა ფაქტმა კონკურსის ჟიურიში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მომღერალ ვალერიას მეუღლემ და პროდიუსერმა იოსეფ პრიგოჟინმა შიდა შესარჩევი ტურის ხელახლა ჩატარებაც კი მოითხოვა, რადგან მისი თქმით, მიუღებელია რუსეთი უკრაინულმა სიმღერამ წარადგინოს.

კონსტანტინ მელაძის განცხადებით, ევროვიზიაზე რუსეთის მიერ უკრაინელი კონკურსანტის წარდგენა, პირიქით, ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, რომ გამარჯვებული სიმღერის ავტორი ქართველია, ტექსტისა კი ესტონელი.

"ეს ფაქტი დროული სიგნალია იმისა, რომ ამ ერების სულები ჯერ კიდევ ერთმანეთის მონათესავეა",- განაცხადა მელაძემ.

ანასტასია პრიხოდკო, რომელიც რუსული მუსიკალური ტელეპროექტის "ვარსკვლავების ფაბრიკის" გამარჯვებულია, თავის მხრივ, უკრაინაში ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსში დისკვალიფიცირებულ იქნა იმის გამო, რომ სამშობლოში სიმღერა რუსულ ენაზე შეასრულა.

**მედიანიუსი**

# პატარა უჯრედებში ჩატეული სამყარო

### ოთარ იოსელიანის წიგნის პრეზენტაცია და არარსებული ქართული კინო

ია ვეკუა



ქართული კინო აღარ არსებობს , - ეს იყო ოთარ იოსელიანის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვები, რომლებიც რეჟისორმა თავისი წიგნის, ლუის პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას უთხრა. ეს მარტივი ჭეშმარიტება დიდი ხანია ყველამ ვიცით, თუმცა მის აღიარებას გვირჩევნია ბოლო წლებში გამოსული ფილმებით საკუთარი თავები საწინააღმდეგოში დავარწმუნოთ... ოთარ იოსელიანის სიტყვის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი მის წიგნს გადავავლოთ თვალი.

ლუი წიგნია, თუმცა შინაარსითა და სტრუქტურით რადიკალურად განსხვავდება წიგნის შესახებ არსებული საზოგადოდ ცნობილი წარმოდგენისგან. ეს არის იოსელიანის თითქმის ყველა ფილმისთვის მის მიერვე შექმნილი კადრირებების კრებული, რომელიც მომავალი რეჟისორებისთვის სახელმძღვანელოს ფუნქციას უფრო შეასრულებს, ვიდრე საკითხავი ლიტერატურის. შტრიხები, წერტილები, მიმართულების მაჩვენებელი ისრები, ციფრები - ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი ნიშნების კრებული, რომლებიც დილეტანტს შესაძლოა უცხოპლანეტელთათვის შედგენილი საიდუმლო შრიფტი ეგონოს, სინამდვილეში სწორედ იმის გრაფიკული გამოსახულებაა, რაც შემდგომში ეკრანზე უნდა ვნახოთ. ეს პატარა უჯრედებში ჩატეული ოთარ იოსელიანის კინოსამყაროა, ის ჩონჩხია - ხორცისა და სისხლის შემატების შემდეგ ცოცხალ ორგანიზმად რომ იქცევა.

ლუიში თავმოყრილი კადრირებების გამოფენა პარალელურად თიბისი ბანკის ცენტრალური ოფისის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა. აქ ნახავთ პასტორალის , მთვარის ფავორიტების , შემოდგომის ბაღების , ორშაბათ დილის , მშვიდობით ძროხების ქვეყნისა და პეპლებზე ნადირობის კადრირებებს. ცხადია აქვეა ლუის გრაფიკული სცენებიც, თუმცა ამ შემთხვევაში განსხვავება ისაა, რომ ამ კადრირებების პერსონაჟები სამუდამოდ ფურცელზე დარჩნენ და ეკრანზე ვერ გადაინაცვლეს. ლუი ოთარ იოსელიანის იმ ფილმის სახელწოდებაა, რომელიც მან ვერ გადაიღო და რომელიც ლუი XIV ეპოქის მაგალითზე ნომენკლატურის წარმოშობას შეეხებოდა. როგორც თავად რეჟისორი აღნიშნავს, ეს მის მიერ გაკეთებული საუკეთესო კადრირებებია, წიგნმაც სახელწოდება სწორედ ამის გამო მიიღო.

ოთარ იოსელიანი თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა. მისი ვიზიტის მიზეზი აღნიშნული წიგნის პრეზენტაციის გარდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინო სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებისა და სხვა მსურველებისთვის კადრირების შესახებ სამდღიანი მასტერკლასის ჩატარება იყო. როგორც მასტერკლასის დამსწრეები აღნიშნავდნენ, ეს იყო უაღრესად საინტერესო საუბრები, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ბევრი რამ გაუგებარი დარჩა. ეს კი ისევ და ისევ იმის ბრალია, რაზეც ოთარ იოსელიანმა თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა - ქართული კინო აღარ არსებობს და მასთან ერთად არ არსებობს კინოსკოლაც. ასეთ დროს კი უაზრობაა სტუდენტს პირდაპირ ოთარ იოსელიანის ენით ესაუბრო.

ოთარ იოსელიანს არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, თუმცა უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველ ხელოვანთა შორისაა, რომელიც სამშობლოს საზღვრებს გარეთ ყოფნისას არასდროს გვზარდება კომენტარის გაკეთებასა და უფრო ვრცელი ინტერვიუს მოცემაზეც. თუმცა ამჯერად ჩვეული სიმკაცრე გამოიჩინა და მხოლოდ ავტოგრაფების დარიგებითა და საზოგადო სიტყვით შემოიფარგლა.

**ოთარ იოსელიანი:** იმას გეტყვით, რაც ყველამ კარგად იცით - ქართული კინო აღარ არსებობს. კინოსტუდია ქართული ფილმი გაპარტახებული, გაძარცვული და გასაცოდავებულია. არადა იყო დრო, როდესაც ქართული კინო მსოფლიო დონის სკოლას წარმოადგენდა. აუცილებლად უნდა გამოვლინდეს და დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც ქართული კინო პირადი ინტერესებისთვის გამოიყენა, გაყიდა და დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ წლების განმავლობაში დაიკარგა ის რგოლიც, რომელსაც ძველი და ახალი თაობის კინო უნდა დაეკავშირებინა. აღარ არიან ტექნიკური განხრის სპეციალისტები: მემონტაჟეები, ხმის რეჟისორები, გამნათებლები, მექანიკოსები, აპარატურის შემკეთებლები. მათ გარეშე კი კინოს გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. თბილისში კადრირების შესახებ ლექციების ჩასატარებლად მომიწვიეს, თუმცა მხოლოდ ხატვით კინოს ვერ გადაიღებ - ის სამუდამოდ ფურცელზე დაგრჩება. გულს მიკლავს მთელი ქალაქის ყურებაც, რომელიც ისევე დანგრეული და დამახინჯებულია, როგორც ქართული კინო. ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში არაფერს აშენებენ ეკლესიების გარდა. თუმცა ვინაიდან ვცოცხლობთ, ვინაიდან ჩვენი წინაპრების შთამომავლები ვართ, ვაგრძელებთ ძველი პლეადის მიერ დაწყებულ საქმეს, შევძლებთ ყველაფერის გამოსწორებას. ეს თუნდაც ამ ახალი თაობის გამო უნდა გავაკეთოთ, ამდენი ნიჭისა და პოტენციალის დაკარგვა მართლაც საცოდაობა იქნება.

# შონ პენი კამპანიაში ჰარვი მილკისთვის

პრემია "ოსკარის" ლაურეატი შონ პენი მონაწილეობას მიიღებს კამპანიაში, რომლის მიზანიც ჰარვი მილკის დაბადების დღის ოფიციალურ დღესასწაულად აღიარებაა კალიფორნიაში. როგორც Variety იუწყება, პენი სენატორ მარკ ლინოს (Mark Leno) მიერ ორგანიზებულ სპეციალურ კონფერენციაზე გამოვა, რომლებიც უკვე მრავალი წელია შესაბამისი კანონის მიღებისთვის იბრძვიან. სენატორის თქმით, ჰარვი მილკის დაბადების დღე 22 მაისს აღინიშნება. კანონპროექტის ავტორები ცდილობენ ამერიკული პოლიტიკის ისტორიაში ცვლილებები შეიტანონ, რომელიც სასკოლო პროგრამებში აღიარებული არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას შეეხება. ერთი წლის წინ კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცნეგერმა ვეტო დაადო ანალოგიურ კანონპროექტს. შვარცნეგერის აზრით, მილკის მიმდევრებმა დღესასწაული მხოლოდ სან ფრანცისკოში უნდა აღნიშნონ და არა მთელი შტატის ფარგლებში.



აღსანიშნავია, რომ შონ პენმა პრემია "ოსკარი", გას ვან სენტის მიერ გადაღებული იგივე სახელწოდების ფილმში ჰარვი მილკის როლის შესრულებისთვის მიიღო. პენისთვის ეს უკვე მეორე "ოსკარია". კლინტ ისტვუდის ფილმ "საიდუმლო მდინარე"-ში მონაწილეობისთვის, ამერიკული კინოაკადემიის პრემია პირველად მას 2004 წელს არგუნეს. მთლიანობაში მსახიობი პრემია "ოსკარზე ექვსჯერ იყო ნომინირებული.

შეგახსენებთ, რომ ჰარვი მილკი ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პოლიტიკოსი გახლდათ, რომელმაც საკუთარი ჰომოსექსუალური ორიენტაცია საქვეყნოდ აღიარა. იგი ქალაქის მმართველობაში იქნა არჩეული და ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების კანონპროექტის მიღებას ითხოვდა.

# ქართული კვალის ძიებაში

## 800 ქართული ტაძრის აღსაბეჭდად გადაღებული 90 ფილმის ავტორი

მზეხა მახარაძე

მისი ტელეკამერის გზა ძველი ხუროთმოძღვრების იმ საოცრებებს გვაჩვენებს, რომელსაც შორიდან ვეხებით, თითქოს მისი ნაწილიც ვხდებით... ისტორიულ ნაკვალევზე იქ, სადაც გგონია, რომ დრო საუკუნეებით არის გაქვავებული, იქაურობა კი საუკუნეების წინანდელი ლოცვით გამთბარი, ტელედოკუმენტალისტს მივყვებით. მადლიან გზებზე ტელემეგზური ისტორიული რეალიების მთხრობელი ხდება, წარსულის ძეგლებთან თანაზიარი სული ჩვენში ასე უხვად და გულღიად შემოაქვს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გელა ქოქიაშვილის ტელეფილმების ციკლი სიმბოლური სათაურით "მოგზაურობა სამშობლოში", მიხვდება, რომ დოკუმენტალიზმის მიღმა, ეს რეტროსპექტივა ერთდროულად დრამატურგიაა, მეცნიერული კვლევაც და ესეისტური ტელეჩანაწერებიც ავტორისეული ქვეტექსტებით - როგორ აიხსნება ის შეგრძნებათა საიდუმლოებები, როცა უძველეს ტაძრებთან შეხვედრა გველის; როგორი ინტონაციით აღიქმება ყველა დროში ის პრობლემები, რაც ციხე-ტაძრების ბედისწერის ფარულ ლოგიკაშია განუშორებლად დარჩენილი; ვინ გვიერთგულა ქრისტიანული მოძღვრების გზებზე, ვინ მოგვცა სულიერი სიმშვიდე და განსაკუთრებული მყუდროება მაშინ, როცა აღარც ველოდით; როგორ დაიტია დიდ ტაძრებზე ჩურუქთმამ ქვაში, თუნდაც ფასადის ფერთა გრადაციაში, რაღაც სხვანაირი ეპოქალური სიდიადე... 800-ზე მეტ ისტორიულ ძეგლზეა გელა ქოქიაშვილის მიერ შექმნილი 90 ტელედოკუმენტური ფილმი... გადაიღო კუმურდო, ბოლნისის სიონი, ფიტარეთი, ჯვარი... და ასე მარგალიტებად იკრიბება უნიკალური ტელემატიანე, რომელიც თაობათა მეხსიერებიდან ისეთ ლეგენდებს თუ ისეთ საინტერესო დეტალებს იტევს, რაც შეუძლებელია ისტორიული წყაროებიდან ამოვიკითხოთ... ცნობილი ტელედოკუმენტალისტი ახლაც გადაღებაზე ფიქრობს, ახლაც გადაღებისთვის ემზადება, როგორც იტყვის: "ტაძარი უხმობს", ანუ დროში გამოვლილი შედევრები ხელახლად უნდა აღმოაჩინოს და მერე და მერე, ჩვენც უცნაურად გაგვაოცოს.

ჯერ პირველ არხზე იყო, ახლა კი საპატრიარქოს ტელევიზიით ამ ტელეფილმებს ყველაზე ბევრი ჰყავს მაყურებელი და ამ ტელეფილმებზე ბევრს საუბრობენ... საუბრობენ როგორი თანადროული აქცენტებია ჩადებული, როგორი შინაარსობრივი სიღრმეებით იცვლება ყოველი კადრი, ყოველი ფრაზა კი გულიდან მოდის, გრძნობებზეა გატარებული და... დიდი რუდუნებით წაკითხული, მაგრამ ყველაზე ხშირად იმას ამბობენ, რომ თანამედროვე ტელესივრციდან "გელა ამკვიდრებსო ნამდვილ ფასეულობებთან ურთიერთობის ტრადიციას..." ალბათ ისიც სიმბოლურია, რომ ტელედოკუმენტალისტს ამ ფილმებმა მოუტანა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია, ეს სოლიდური პრიზი, რომელიც უკვე მიღებული აქვს "ქველმოქმედებისა და ეროვნულ კულტურაში გაწეული ღვაწლისათვის" ვახტანგ ბერიძეს, ბაჩანა ბრეგვაძეს, ჯუმბერ კოპალიანს, ანზორ ერქომაიშვილს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ახლახანს გელა ქოქიაშვილს გადასცეს. რას ნიშნავს მისთვის "ლეგენდიდან მოსული კაცის" ჯილდო, კიდევ უფრო მძიმე ტვირთს?

- რა თქმა უნდა, ეს მძიმე ტვირთია... - მეუბნება ტელედოკუმენტალისტი გელა ქოქიაშვილი, - დაჯილდოების დროს კიდევაც ვთქვი: ამხელა პასუხისმგებლობის მერე, მე რაღა უნდა გავაკეთო მეთქი... და მარიკა ლორთქიფანიძემ იქვე მომაშველა პასუხი: არაფერი, აკეთე ის საქმე, რასაც აქამდე აკეთებდიო. განსაკუთრებული მადლიერებით, მე მინდა ვისაუბრო სოსო გულბანზე, ჩემს ოპერატორზე, რომელიც გადაღებებზე სულ თან დამყვება და მგონია, რომ ეს პრემია არა მარტო მე, არამედ სოსომაც მიიღო. იცით რა, მე ასეთი ერთგული კაცი საქმეში, მეორე არ მინახავს...

**- არც ისე ადვილია უძველეს ძეგლებთან მიახლოება, ალბათ სულ სხვა განცდაა, როცა მიტოვებული ტაძრების კარს შეაღებთ და იქ სანთელს დაანთებთ... როგორ გადაიღეთ კუმურდო, საფარა, ხუჯაბი, ჯაყისმანის ეკლესია? ყოველ გადაღებას ხომ თავისი ამბავი მოჰყვება?**

- კუმურდო სასაწაულად გადავიღე... ხუჯაბის ეკლესია კი ალბათ იცით, რომ სომხეთის ტერიტორიაზეა, იქ მესაზღვრეებმა გადამიყვანეს, მაშინ მაგრად ივაჟკაცეს ბიჭებმა... ეს არის XIII საუკუნის დიდი გუმბათიანი ტაძარი ღვინისფერი ქვით ნაშენი, თეთრი ქვებით მორთული... რომ შეხედავ, გული გაგინათდება, ახლა ინგრევა ისეთ მდგომარეობაშია. იქ ქართული წარწერები, ვიცოდით, რომ შეიძლება აღარ დაგვხვედროდა, გადაჩხაპნილიაო ამბობდნენ, მაგრამ გადაღებისას სოსო გულბანმა შენიშნა ის, რასაც არავინ ელოდა - სადიაკვნეში, დასავლეთ კედელზე, კარის თავზე გაანათა ქართულმა ფრესკულმა წარწერამ, რომელიც კარგად იკითხება და თავისი დატვირთვა აქვს... ფოცხოვის ხეობაში ვართ, ზედ თურქეთის საზღვარზე და ვიცი, რომ იქ, სადღაც დგას ჯაყისმანის ეკლესია. როგორც კი მოვკარი თვალი, მანქანიდან გადმოვედი და გავრბივარ ტაძრისაკენ - ასე მეგონა წინაპარი მეძახდა... ტაძართან შეხება ეს სულ სხვა განცდაა - თითქოს ქვა მელაპარაკება, არაჩვეულებრივი გადასაღებია მოჩუქურთმებული ტიმპანი, სამკაულები, რელიეფები, მთელი მისტიკური სიმფონიაა ეს ყველაფერი... საერთოდ, ბალავრის ქვა საოცარია. ტაძრის მთელი კედელი მხოლოდ ამ ერთ ქვას უჭირავს. თუ ტაძარს შიგნიდანაც აქვს არქიტრავი, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ძველი ეკლესიაა...

**- თქვენ მიუდგომელ, ძნელად ფეხმოსაკიდ ადგილებზე გადაიღეთ ის უნიკალური ძეგლები, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობი აღმოჩნდა... როგორ მიაგენით ამ მიტოვებულ სიწმინდეებს?**

- კითხვა-კითხვით, იქაურების დახმარებით... ზაფხულში წასული ვიყავი თიანეთის მხარეს, შევედი ნასოფლარ ყვარაში და ვნახე ეკლესია, სადაც ერთდროს ვაჟაფშაველას მამა ყოფილა მღვდელმსახური, მერე იქვე ტყეში, IX საუკუნის დიდი სამონასტრო კომპლექსი გადავიღე, თუნდაც ნიჩბისში - თავკაპიტის ეკლესია... იცით, ბევრი მონასტერი გვაქვს ნამდვილი ბაჯაღლო, მათი აღუდგენლობა როგორ შეიძლება... აი, სკრის ხეობაში ზევით, სოფელ კოშკებში არის მიტოვებული ეკლესიები, მერე იქედან 5 კილომეტრი უნდა იარო და შეგვხდება ადგილი ბნელეთი, სადაც სამეკლესიანი ტაძარი დგას ქვით ნაშენი, ერთი ბზარიც არა აქვს, ასე საღსალამათი უძლებს საუკუნეებს... საინტერესო ამბავს გეტყვით - ბოლნისის რაიონში არის "რვაფეხას" ეკლესია, - ასე ეძახიან, თურმე შვლები აფარებენ თავს, ხვდებით? თითქოს ახლა ისინი უვლიანო... ყველაზე რთული გადასაღები მაინც ჯავახეთია თავისი რთული რელიეფით, კლდოვანი საფეხურებით... მთასვლელი უნდა იყო, რომ ციცაბო კლდეებში გამოქვაბულთა კომპლექსში ახვიდე, ანუ პარეხთა კომპლექსში. ამ ყველაფერს რომ უყურებ, გაოცდები, უდაბურ კალთებზე რა ძალამ გამოკვეთა ეს მრავალსართულიანი მონასტრები, თუმცა ეს არ არის გასაკვირი, მორწმუნეები მიუდგომელ ადგილებს ირჩევდნენ "დასაყუდებლად", იქ ყრიდნენ ფესვებს... ამიტომ არის, რომ მთებზე ფეხით გავდივართ ხოლმე კილომეტრებს, მივბობღავთ-მოვბობღავთ...

**- ასე სოფელ-სოფელ, ტაძრების კვალს რომ მიყვებით, როგორი განწყობით გხვდებათ ადგილობრივი მოსახლეობა? თუ გცნობენ ხოლმე?**

- კი, კი, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: სოფელ ხერთვისთან ახლოს, მდინარის მეორე მხარეს არის სკოლა, სადაც მასწავლებელს ვეძებდი, გადაღებაზე უნდა წამეყვანა მეგზურად. სანამ გავიყოლებდი, მთხოვა, რომ ცოტა ხნით კლასში შევსულიყავი ბავშვებთან. შევედი კლასში და მოსწავლეებს ეკითხება: აბა თუ იცით, ეს კაცი ვინ არისო? წამოხტნენ ბავშვები - ეს გელა ქოქიაშვილიაო... და, გავვოცდი, მე-3-4 კლასელებმა მიცნეს, გესმით თქვენ? ეს იყო ჩემთვის ისეთი დიდი სიხარული, ისეთი დიდი ჯილდო, გამოდის რომ თურმე ბავშვებიც კი უყურებენ ჩემს ფილმებს. მე მოსახლეობისგან დიდ ყურადღებას და უფრო დიდ თანადგომას ვგრძნობ. სოფელში ხომ ხელმოკლედ ცხოვრობს ეს ხალხი, მაგრამ ისე თბილად მიგიღებენ, უკანასკნელ ლუკმას გაიღებენ, ღამეს გაგათენებინებენ... ერში რამხელა სიყვარული დევს, ამას მე ახლა მივხვდი. ხშირად მეუბნებიან - თქვენ კარგ საქმეზე დადიხართ და კარგ საქმეში ჩვენც თქვენთან ერთად ვივლითო. ჯავახეთში არის სოფელი ნაისა, იქ X საუკუნის და-ძმის ეკლესიის გადასაღებად როცა ავედით, არასდროს დამავიწყდება ერთი მოხუცებული - შალვა მელიქიძე. სულ იმას ვფიქრობ, ამ კაცის სახით, მამაჩემი გამომეცხადა, ჩემს შვილს სალომეს ხელი გადახვია, მოატარა მთელი გამოქვაბულები, მითხრა: შვილო, ყველას გადაეცი, ჯავახეთი ძალიან ტანჯული კუთხეაო და, მომიყვა ლეგენდაში გადასული ისეთი საზარელი ამბები, ძნელად რომ დაიჯერება - თუ რას ჩადიოდნენ იქ მცხოვრები ე.წ. თურქიმესხები...

**- სამცხე-ჯავახეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე უნიკალური წარწერები უმოწყალოდ გვხვდება განადგურებული, რატომ? რისთვის? რა მიზნით? ეს ხომ ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის წაშლის, ან წართმევის პირდაპირი მცდელობაა?**

- ახალქალაქიდან ტაბაწყურისკენ მიმავალ გზაზე დგას სირგვის პატარა ეკლესია, VII საუკუნისაა მასიური ქვებით ნაშენი. გული გეტკინება, ბალავრის ქვაზე ისეა ამოჩხაპნილი ბოლნური ჯვარი, რომ იქ აუცილებლად ქართული წარწერაც უნდა ყოფილიყო. ჯავახეთში არის ერთი ასეთი სოფელი ხანდო, სადაც VIII-IX საუკუნეების დროინდელი წმინდა გიორგის ეკლესია ვითომ აღუდგენიათ, არადა ძალიან ცუდად არის გადაკეთებული - საკურთხეველი აუწევიათ მონოფიზიტური, სომხური ტრადიციის მიხედვით. იქაურებმა მითხრეს: ეს ჩვენი ეკლესიაა, აქ ერევნიდან ჩამოდიან სომხები სალოცავადო, გესმით? სოფელ მაჭატიაში ძალიან აგრესიული სომხები ცხოვრობენ, ჩასული ვიყავი გადაღებაზე, ვეძებდი ბაგრატ III-ს საფლავის წარწერას. ვიცი, ლიტერატურიდან, რომ არსებობს, მაგრამ იქ ოთხი სასაფლაოა, მოძებნა არ გინდა? ჩვენს იქ ყოფნაში გამოვიდა მთელი სოფელი, მოვიდა ერთი და მეკითხება: რას ეძებო? - მოსკოვიდან ჩამოვედი, პაპაჩემის საფლავს ვეძებ, ქვაზე ბერძნული წარწერა აქვს მეთქი, - მოვატყუე, სხვანაირად არ გამოვიდოდა. "პადაჟდი" - მითხრა და, მიმიყვანა ბაგრატ III-ს საფლავის ქვასთან. მსგავსი ამბები ბევრი შემხვედრია ჯავახეთში, პრობლემატური იყო მუშაობა - იქ რუსული არ იციან, მე - სომხური, რა უნდა მექნა? ძეგლებს ვხაზავდი და ისე ვაგებინებდი ხოლმე...

**- ბატონი გელა, სამშობლოში მოგზაურობამ როგორ შეცვალა თქვენი პროფესიული ყოველდღიურობა?**

- გულწრფელად გეტყვით, ეს ყოფილა ის საქმე, რასაც მთელი ცხოვრება ვეძებდი, ამდენი ხანი პრესაში ვმუშაობდი, მერე პირველ არხზე ტელევიზიის თავმჯდომრის მოადგილე ვიყავი, გენერალური დირექტორი, მაგრამ ეს დროც სულ დავკარგე. ძეგლებთან შეხვედრა, ტაძრების გადაღება ეს ყოველთვის უნდა მეკეთებინა, აქ ვიპოვე ჩემი თავი, მერე იცით, რა შევნიშნე? - ბავშვობა გატარებული მაქვს სოფელში - მუხადგვერთსა და წილკანში, ზაფხულში იქ ჩავდიოდი ხოლმე დეიდებთან, სოფელ მუხადგვერდში ყოველ დილით რომ ვდგებოდი, ჯვრის ტაძარს ვუყურებდი, ხოლო ხელმარცხნივ იყო არმაზის კომპლექსი, იმ ნანაგრევებში დავრბოდი, წილკანში კი ვცხოვრობდი იმ ეკლესიასთან ახლოს, რომელიც საქართველოში, ალბათ, ყველაზე ძველია - IV საუკუნის წილკნის დარბაზული საყდარი, V-XI საუკუნეების გუმბათიან ტაძარშია ჩაწერილი.

**- ეს ტაძარიც გადაიღეთ, თუ ჯერ არა?**

- კი, აბა რა... ახლა ვაპირებ თეთრიწყაროს რაიონში წასვლას, ფცის ხრამი მინდა გადავიღო, ფიტარეთში ვიყავი, მაგრამ იქვეა "ცხნარიც", მანქანით ვერ ავედით, აქეთკენ სამშვილდეა, პირღებული, მუგუთი, ზევით სამღერეთი... გეგმა მაქვს შედგენილი, მერე თრიალეთში უნდა წავიდე - წალკაში და ა.შ. გადაღების სურვილი და ენერგია დიდი მაქვს, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, რომ დიდი სირთულეებია დაფინანსების მხრივ.

**- ალბათ, ძალიან დიდია ამ პროექტის ბიუჯეტი?**

- არა, რას ამბობთ...

**- არა?! საერთოდ, ასეთი "წინაპრული და ვეებერთელა" პროექტები სულ თვითგადარჩენის ზღვარზე გადიან...**

- ამ ფილმებს არც არასდროს ჰყოლია სპონსორი, სულ გაჭირვებით ვაკეთებ და იცით, რას მივხვდი? - როცა მადლიან საქმეს აკეთებ შენი ქვეყნისთვის, ყოველთვის ეშმაკები გებრძვიან. არავინ არ იცის, ეს ეშმაკი შეიძლება შენ თვითონ დაგაჯდეს ბეჭზე, შეიძლება გზაზე გადაგეღობოს, ან შეიძლება ისეთ კაცს შეუჩნდეს, რომ ვერც კი წარმოიდგენ და იმან პრობლემები შეგიქმნას. გულწრფელად გეუბნებით, მე ასეთი წინააღმდეგობები რომ არ შემხვედროდა, ახლა 1500-ზე მეტი ეკლესია მექნებოდა გადაღებული... ისიც კარგად ვიცი, რომ ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო, რომ თაობებს დარჩეს.



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი

ნუმიზმატიკა საქართველოში მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. ამ საქმის ფუძემდებელი იყო პეტრე ბარათაევი (ბარათაშვილი), ისტორიკოსი, კოლექციონერი.

მიხეილ ბარათაევი 1784 წლის 25 იანვარს სიმბირსკში გენერალ-პორუჩიკ პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაშვილის ოჯახში დაიბადა. მამამისი იმ დროს სიმბირსკის გუბერნატორი იყო.

მიხეილის ბაბუა მელქისედეკ ბარათაშვილი ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლებული ამალის წევრი იყო. მიხეილ პეტრეს ძეს მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსი "საფლავი მეფისა ირაკლისა". ასევე მას ეძღვნება პოეტის ცნობილი ფრაზა -"ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი? გაამოს! ".

1820 - 1835 წლებში მიხეილ ბარათაევი იყო სიმბირსკის თავადაზნაურობის წინამძღოლი. იგი მონაწილეობდა დეკაბრისტულ მოძრაობაში, რის გამოც 1826 წელს დააპატიმრეს.

1839 წელს დაინიშნა საქართველოში საოლქო საბაჟოს მმართველად. თბილისში ყოფნისას ხშირად სტუმრობდა მელიტონ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახებს. დაინტერესდა საქართველოს ისტორიით, მისი კულტურით. პეტრე ბარათაშვილმა შეძლო ქართული ფულის უნიკალური კოლექციის შეგროვება.

პეტერბურგში დაბრუნებულმა 1844 წელს რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი "საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები", რისთვისაც აირჩიეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

ნაშრომში პირველადაა მოცემული ქართული მონეტების კლასიფიკაცია. აღწერილია მონეტები VI საუკუნიდან, "სასანო-ქართველთა, ანუ ხოსროიან-ივერიელთა" დროიდან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის დრომდე. წიგნს ახლდა ილუსტრაციები, ქართველ მეფეთა და მთავართა გენეალოგიური ტაბულები. წიგნს ასევე ჰქონდა მოკლე განმარტება-შენიშვნები ქართულ ენაზე.

ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართული ნუმიზმატიკის მეცნიერულ ტერმინოლოგიას. ბარათაევმა გამოიგონა და პირველმა თვითონ გამოიყენა ზუსტი პირების დამზადების ხერხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა მიაქცია ყურადღება VI ს. კლასიკურ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობას ქალაქ თბილისის შესახებ. აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, მისდამი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს, რომ მიხეილ ბარათაევის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას გასდევს ღრმად პატრიოტული და პროგრესული კონცეფცია ქართველთა და საქართველოს ერთიანობის შესახებ.

მიხეილ ბარათაევი 1856 წელს სიმბირსკის გუბერნიის სოფელ ბარატაევკაში გარდაიცვალა. 1857 წლის დეკემბრის სხდომაზე, კავკასიის მუზეუმის დირექციამ ი. ბართლომეის დასკვნის საფუძველზე უარი თქვა 2000 მანეთად შეფასებულ ბარათაშვილის უნიკალური კოლექციის შეძენაზე და შემდგომ ეს კოლექცია ბერლინის მუზეუმმა შეიძინა.

**მედეა შეროზია**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

## რუსეთი ქართული კულტურის ძეგლებს ოსურად აცხადებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან ერთად რუსეთი ქართველი ხალხის კულტურული და ისტორიული ძეგლების მითვისებასაც ცდილობს. ცნობისთვის: რუსეთის "როსოხრანკულტურის" ხელმძღვანელმა ალექსანდრ კიბოვსკიმ ქართული მხარე ე.წ. სამხრეთ ოსეთის კულტურული და ისტორიული ძეგლების დანგრევაში დაადანაშაულა. "რუსეთის ფედერაციამ არა მარტო განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, დაბომბა და დაანგრია ქალაქები და სოფლები, მოახდინა საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის ოკუპაცია, განახორციელა ეთნოწმენდა, გამალებით აშენებს სამხედრო ბაზებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ რუსმა ოკუპანტებმა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ბანდ-ფორმირებებთან ერთად, გაანადგურეს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული და ისტორიული ძეგლები, რითიც რუსეთმა დაარღვია "შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ძეგლების დაცვის შესახებ 1954 წლის ჰააგის კონვენცია",- აცხადებს საგარეო უწყება. სამინისტროს განცხადებით, სრულიად გაუგებარია ის ცინიზმი, რომლითაც ვინმე კიბოვსკი საქართველოს კულტურულ ძეგლებს მოიხსენიებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძეგლებად, რადგან სოფელ კავთის წმ. გიორგის ეკლესიას ისეთივე კავშირი აქვს ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, როგორც "როსკულტურის" სამსახურს კულტურასთან, ხოლო რუსეთის ფედერაციას - საერთაშორისო სამართალთან.

**მედიანიუსი**

## სოზარ სუბარმა ახალგორიდან დევნილ ბავშვებს კინო "ამირანში" უმასპინძლა

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ახალგორიდან დევნილ ბავშვებს კინო ამირანში უმასპინძლა და მათთან ერთად ფილმის ჩვენებას დაესწრო. კონფლიქტის ზონაში ომით დაზარალებულ სოფლებში ვიზიტისას, სახალხო დამცველი შეხვდა დევნილებს, სადაც დევნილმა ბავშვებმა მას კინოს სეანსზე დასწრების შესახებ სთხოვეს.სახალხო დამცველი კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებში გარკვევის მიზნით ბოლოს 2009 წლის 21 თებერვალს იმყოფებოდა.

**მედიანიუსი**

## საზოგადოებრივი მაუწყებელი მეორე არხის აღორძინებას იწყებს

"ბოლო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ განიხილა პროექტები, რომლებიც მეორე არხის აღდგენა-განვითარებას უკავშირდება. საბოლოო არჩევანი BBC PARLIAMENT-თან (BBC-ის ერთ-ერთი არხი, რომელიც მთლიანად ეთმობა პოლიტიკურ თოქ-შოუებს, ახალ ამბებსა და პარლამენტის სხდომების ტრანსლაციას) თანამშრომლობაზე შეჩერდა" - განუცხადეს სააგენტო "პირველს" "საზოგადოებრივ მაუწყებელში". BBC PARLIAMENT-ის წარმომადგენლებისა და არხის ხელმძღვანელობის კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა ტექნიკური და ფინანსური პროექტები, რომელთა მიხედვითაც დაიგეგმება მეორე არხის დღის ეთერი. "მაყურებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის განახლებულ მეორე არხს უახლოეს მომავალში იხილავს" - აცხადებენ "საზოგადოებრივ მაუწყებელში". აღსანიშნავია, რომ ამ განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე ხნით ადრე "კონსერვატორებმა" II არხის თემას ბრიფინგი მიუძღვნეს და მის რეფორმირებასთან დაკავშირებით ხელისუფლება "მორიგ ტყუილში" დაადანაშაულეს.

**"პირველი"**

# ქართული ველური დასავლეთი

## ირაკლი მახარაძე ახალ წიგნს ქართველ ტერორისტებზე წერს

ია ვეკუა




ველურ მუსტანგებზე ყიჟინით მოჯირითე ინდიელები, ბაფალო ბილი, ხრიოკი პრერიები და კლინტ ისტვუდი ტუჩის კუთხეში მოქცეული სიგარით - ეს ამერიკის ველური დასავლეთია; გურიის ტყეები, გრძელ ჩოხებსა და ყაბალახში გამოწყობილი ფირალები, ჯვარედინად ასხმულ პატრონტაჟითა და მუდამ დენთით დატენილი ფიშტოებით - ეს უკვე საქართველოს დასავლეთია. სწორედ ამ უკანასკნელთ აღწერს თავის ბოლო წიგნში რეჟისორი და მკვლევარი ირაკლი მახარაძე. წიგნი სახელწოდებით გურული ფირალები ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა, მისი შეძენა კი დაახლოებით ერთ კვირაში შეგეძლებათ.

ვისაც ველური დასავლეთის შესახებ შექმნილი ფილმები მოსწონს, უთუოდ ახსოვს ირაკლი მახარაძის მიერ გაკეთებული შესავლები, როდესაც ტელევიზიით რომელიმე ვესტერნი უნდა გაეშვათ. 1998 წელს მანვე გადაიღო ანტონ ხინთიბიძის წიგნზე დაფუძნებული ფილმი ამერიკაში მცხოვრებ გურულ მოჯირითეებზე. სწორედ ამ ფილმზე მუშაობისას მიაკვლია ინორმაციას გურული ფირალების შესახებ. ინფორმაცია კი იმდენად ვრცელი და რაც მთავარია საინტერესო აღმოჩნდა, რომ ერთ წიგნად შეიკრა და გამოიცა.




წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: ფირალობის სახელით ცნობილმა მოძრაობამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს გურიაში ვულკანივით ამოხეთქა. ფირალების ასპარეზზე გამოჩენა უმეტესწილად სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა განაპირობა - რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ და მისმა შედეგებმა, სახალხო აჯანყებებმა, საგლეხო რეფორმამ, რუსეთ-თურქეთის ომმა ბევრ ადამიანს ხელში თოფი აალებინა. ფირალები იარაღითა და ძალადობით წყვეტდნენ საკუთარ პრობლემებს და თვითონაც ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. დროთა განმავლობაში ისინი ლამის მითიურ პიროვნებებად იქცნენ, მათზე შექმნილი ლეგენდები, ლექსები და სიმღერები კი ფოლკლორისა და ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ წიგნში დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დაწვრილებით და საინტერესოდაა გადმოცემული ფირალობის ისტორია და ცნობილი გურული ფირალების თავგადასავალი.

ირაკლი მახარაძის წიგნი, ისევე რგოროც გურული ფირალების ცნება ორ ნაწილადაა დაყოფილი. ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს სოციალურად და იდეურად მოქმედ ფირალებს. სიტყვა ფირალი არაბულად გაქცეულს ნიშნავს, პირველი ტიპის ფირალები კი ტყეში სოციალურ სიდუხჭირეს, გაჭირვებასა და სიღატაკეს გაექცნენ. ისინი ტყეს აფარებდნენ თავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავდნენ - ისინი იცავდნენ საკუთარ რაიონს, სოფლებს და ოჯახებს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქართველი რობინ ჰუდები იყვნენ, რადგან თითქმის იდენტური იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის გამზიარებლები იყვნენ. მეორე ტიპს იდეური ფირალები განეკუთვნებოდნენ (მათ შორის იყვნენ სიმონა დოლიძე, ერასტი ჯორბენაძე, დათიკო შევარდნაძე და სხვები). მათ არ აწუხებდათ ეკონომიკური პრობლემები, თუმცა ამგვარად მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ცხოვრობდნენ. ზოგი მათგანი ფანატიკური ანარქიზმითაც გამოირჩეოდა და ყველა მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მაგალითად, მელქისედეკ გუნაშვილი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ფირალად იყო გავარდნილი და მისი მოკვლა მხოლოდ 1939 წელს მოახერხეს, - ამბობს ირაკლი მახარაძე.

წიგნი არა მხოლოდ ტექსტობრივად, არამედ ვიზუალური მასალითაც მდიდარი და საინტერესოა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ მასალებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში აგროვებდა, ასევე ბევრი ინფორმაციის მიღება უშუალოდ გურიის მაცხოვრებლებისგანაც მიიღო.

ამჯერად ირაკლი მახარაძე ახალ გამოცემაზე მუშაობს. ეს იქნება ნაშრომი ქართველი ტერორისტების შესახებ, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს. წიგნი იმ ადამიანებზე მოგვითხრობს, რომელთა სახელებიც ისტორიამ ნაკლებად შემოგვინახა, თუმცა თავიანთი საქმიანობით ამავე ისტორიის მეტ-ნაკლებად შეცვლა მოახერხეს.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Cooperation Office for the South Caucasus**
Georgia

### განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია".**

კურსი ჩატარდება 2009 წლის 20 ივნისიდან 3 ივლისამდე ერევანში ქენევის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების კვლევის ინსტიტუტის" მიერ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 18 მარტი. საქართველოდან კურსში მონაწილეობისათვის 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**www.cabir.org/applications**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ქენევის საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების კვლევის ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ქ-ნ ნიშა მანჯურანს ელექტრონული ფოსტით: applications@cabir.org.

**იყიდება ფართი**
**ჭავჭავაძის 17ა-ში**

*ფართობი:* **საოფისე ფართი ევრორემონტით** *1 684 კვ.მ.*
**სარდაფი** *334 კვ.მ.*
**ავტოფარეხი** *525 კვ.მ.*

**სულ:** *2 543 კვ.მ.*

*ფასი: 1 900 000 დოლარი*

*(შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში)*

ტელ: 22 17 65; 877 955 707.

# სპორტი

## ლიდერების ტური

მიხეილ აბაიშვილი




*მერებაშვილმა "დუბლი" შეასრულა*

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩებს გუნდების სატურნირო განლაგებაზე პრაქტიკულად არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. მედლებისთვის მებრძოლმა ოთხივე გუნდმა დამაჯერებლად იასპარეზა და გამარჯვებასაც მიაღწია. ოთხივე ლიდერს ამ ტურში სტუმრად მოუხდა თამაში, თუმცა, ამ გარემოებას მორიგი სამი ქულის აღებაში არც ერთისთვის არ შეუშლია ხელი. როგორც ვთქვი, მედლებისთვის ოთხი გუნდი იბრძვის, თუმცა, აქაც გარკვეული გრადაციაა. საჩემპიონო რბოლაში რეალურად მხოლოდ ორი გუნდია ჩაბმული - "დინამო" და "ვიტ ჯორჯია", ხოლო "ზესტაფონი" და "ოლიმპი" ჯერჯერობით მხოლოდ მესამე ადგილს ეცილებიან ერთმანეთს და ოქროს მედლებისთვის მიმდინარე დედაქალაქურ დაპირისპირებაში ჩაბმის მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ დარჩენილი.

მიმოხილვასაც დაწინაურებული თბილისური გუნდების მატჩებით დავიწყებ.

"ვიტ ჯორჯია" ერთპიროვნულ ლიდერობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს, თუმცა, უკვე ესმის "დინამოს" სუნთქვა, რომელმაც 9-ქულიანი ჩამორჩენა 1 ქულამდე დაიყვანა და შუასასეზონო ზამთრის არდადეგების შემდეგ აღებული ბრწყინვალე სტარტის შემდეგ ქულის დაკარგვასაც კი არ აპირებს. საპირისპიროდ, ვეტერინარებმა ქულათა საკმაო რაოდენობა გაატანეს ქარს და, თუ ნამდვილად უნდათ ჩემპიონობა, წაბორძიკების უფლება უკვე აღარა აქვთ. ამ თვალსაზრისით ნესტორ მუმლაძის გუნდმა 22-ე ტურის მატჩი სანიმუშოდ ჩაატარა. "ვიტ ჯორჯიამ" ზუგდიდში, ადგილობრივ "მგლებთან" ითამაშა და 2:0 გაიმარჯვა. ბოლო სამი თამაშისგან განსხვავებით, ლიდერმა პირველად შეძლო ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა, რაც შედეგზეც აისახა.

ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე მოედნის საფარის უვარგისობის გამო თამაშის სწრაფ ტემპში წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში სახიფათო მომენტების შექმნა ჭირდა და, შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებს, რომლებმაც სწრაფი გოლი გაიტანეს, საკმაოდ გაუმართლათ. მე-9 წუთზე "ვეტერინართა" შეტევების ერთ-ერთმა ლიდერმა ჯაბა ლიპარტიამ გამოიჩინა თავი. გოლმა ორივე გუნდზე დამამშვიდებელივით იმოქმედა და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ბრძოლა ძირითადად შუა მოედანზე მიმდინარეობდა. შეხვედრის მეორე ნახევარში თავი იჩინა "ვიტ ჯორჯიას" უკეთესმა ფიზიკურმა მზადყოფნამ, რაც კიდევ ერთ გატანილ გოლში აისახა: 67-ე წუთზე კუთხურიდან ბურთის გათამაშების შემდეგ სტუმართა კაპიტანმა ლუკა რაზმაძემ ზუსტი დარტყმით ტაბლოზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ორჯერ უფრო უხვგოლიანი გამოდგა "ბორჯომი" - "დინამოს" დაპირისპირება. ამ შეხვედრაშიც გოლები მხოლოდ სტუმრებმა გაიტანეს. როგორც წინა მატჩებში, ამჯერადაც შეუჩერებელია "დინამოსა" და მთელი ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი მერებაშვილი. ამ მატჩში მან "დუბლი" შეასრულა, წელს უკვე 13 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა. უახლოეს კონკურენტებს, თანაგუნდელ სპასოევიჩს და ზესტაფონელ გელაშვილს პირად ანგარიშზე 9-9 გოლი აქვთ. მერებაშვილის გარდა, ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინეს გველესიანმა და ნერგაძემ. საბოლოოდ მატჩი მასპინძელთათვის უსიამოვნო ანგარიშით - 0:4 დასრულდა.

"ბრინჯაოსთვის" მებრძოლმა გუნდებმა შედარებით რთული მატჩები ჩაატარეს. "ზესტაფონი" ლიდერი ფეხბურთელების წასვლით დასუსტებულ "ლოკომოტივს" სტუმრობდა და 86-ე წუთამდე სანერვიულოც არაფერი ჰქონდა. გია გეგუჩაძის გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალას ნიკა გელაშვილს ამ დროისთვის უკვე ორი გოლი ჰქონდა გატანილი. 86-ე წუთზე სტუმართა კარში დაინიშნა პენალტი, რომლის რეალიზება კახელიშვილმა შეძლო. დარჩენილ 7-8 წუთში მასპინძლებმა მცირე შტურმიც კი მოაწყვეს. თუმცა, ლიხსიქითელებმა წარმატებით დაიცვეს თავი და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს.

მინიმალური სხვაობით იმარჯვა საქართველოს ექსჩემპიონმა რუსთვის "ოლიმპმა", რომელიც გასულ უქმეებზე ბოლნისის "სიონს" სტუმრობდა. ამ შეხვედრაში გასული ერთადერთი გოლი რუსთაველი რეხვიაშვილის ანგარიშზეა (33`).

**22-Ე ტური**

| | |
|---|---|
| სპარტაკი - მესხეთი | 1:1 |
| მგლები - ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| ბორჯომი - დინამო | 0:4 |
| სიონი - ოლიმპი | 0:1 |
| ლოკომოტივი - ზესტაფონი | 1:2 |

## რუმინეთმა რაზმი შეკრა

შაბათს, 14 მარტს, თბილისის “ბორის პაიჭაძის” სახელობის ეროვნულ სტადიონზე ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში “ბორჯღალოსნები” თავის მუდმივ მეტოქეს - რუმინეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მომავალ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი გუნდისთვის, ისე რუმინელებისთვის, რომლებიც წლევანდელ ერთა თასზე მოიკოჭლებენ.

რუმინეთის ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა ელის მიჩენმა დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 14 მარტს თბილისში, საქართველოს ნაკრებთან ითამაშებს. რუმინელებმა "ერთა თასის" ბოლო ტურის მატჩი რუსეთთან ბუქარესტის "არქულ დე ტრიუმფზე" დათმეს 19:28 და ახლა "ბორჯღალოსნებთან" მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ. რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა - შერკინება: ნიკოლაე ნერე ("სტიაუა"), პაულიცა იონი ("ბეთი" ინგლისი), მიჰაიტა ლაზარი ("პოლი იასი"), ფლორინ ტასკა ("დინამო"), კატალინ ბეჩა ("დინამო"), ვალენტინ პოპირლანი ("დინამო"), ალინ კოსტე ("ნარბონა" საფრანგეთი), კოზმინ რატიუ ("დინამო"), სტელიან ბურჩეა ("დინამო"), ფლორინ კოროდიანუ ("სენ მარსელინი" საფრანგეთი), დანიელ კარპო ("ფარული"), ალექსანდრუ ტუდორი ("დინამო"), მიჰაი მაქოვეი ("ბაია მარე"), კოსტიჩა მერსოიუ ("დინამო"), დანიელ იანუსი ("სტიაუა"). უკანა ხაზი: ვალენტინ კალაფეტიანუ ("დინამო"), ფლორინ სურუგიუ ("ოლიმპია"), იონუტ დიმოფტე ("სტიაუა"), ანდრეი ფილიპი ("დინამო"), ადრიან ბარბულეჩიანუ ("დინამო"), კატალინ დასკალუ ("სტიაუა"), მადალინ ლემნარუ ("აურელ ვლაიკუ არადი"), სტეფან ჩიუნტუ ("დინამო"), კატალინ ფერკუ ("სტიაუა"), კატალინ ნიკოლაე ("ფარული"), ფლორინ ვლაიკუ ("სტიაუა"), იონუტ ბოტეზატუ ("ბაია მარე").

### კალაძე კმაყოფილია

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე კმაყოფილია გაკეთებული ოპერაციით და მისი შედეგებით. "მილანის" მცველის განცხადებით, ოპერაციის გაკეთებაზე გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო, რადგან გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა ამის შემდეგ 31 წლის ფეხბურთელი კარიერის გაგრძელებას. "ბედნიერი ვარ, რომ ოპერაცია გავიკეთე, რადგან ბოლო დროს ძალიან გამიჭირდა ასეთ მდგომარეობაში თამაში. გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, რადგან არ ვიცოდი ოპერაციის შემდეგ შევძლებდი თუ არა თამაშის გაგრძელებას. ახლა იმედი მაქვს, ხუთ თვეში შევძლებ თამაშს და საუკეთესო ფორმას დავიბრუნებ", - თქვა კახამ.

### დროგბაში 20 მილიონს იხდიან

მილანის "ინტერი" "ჩელსის" დიდიე დროგბაში 20 მილიონ ფუნტ სტერლინგს სთავაზობს, მაგრამ ლონდონური კლუბი უარს ამბობს გაყიდოს ფეხბურთელი. კოტდივუარელის აგენტის ინფორმაციით, "ინტერის" წარმომადგენლები ჯერ კიდევ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას შეხვდნენ ფეხბურთელს. "დროგბას ორი შეთავაზება ჰქონდა - "ინტერიდან" და "მანჩესტერ სიტიდან". ფეხბურთელი მზად იყო დაეტოვებინა "ჩელსი", მაგრამ კლუბმა ის არ გაუშვა. ამით "ჩელსიმ" მას მიანიშნა, რომ ძველებურად ენდობოდა დროგბას", - აცხადებს დროგბას ერთ-ერთი აგენტი ტერნო სეიდი. ამის შემდეგ დროგბამ პოზიცია შეიცვალა. "მინდა კარიერის ბოლომდე "ჩელსიში" ვითამაშო", - ამბობს ფეხბურთელი. შეგახსენებთ, რომ "ჩელსიში" დროგბა "ინტერის" ახლანდელი თავკაცის ჟოზე მოურინიოს ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. დროგბას კონტრაქტი ლონდონურ კლუბთან მომავალი სეზონის ბოლოს დასრულდება.

### "ბარსა" კაპიტნის გარეშე დარჩა

"ბარსელონას" კაპიტანი კარლეს პუიოლი სამ კვირას ვერ ითამაშებს საკუთარი გუნდის შემადგენლობაში. ბილბაოს "ატლეტიკთან" შეხვედრისას, რომელიც კატალონიურმა გუნდმა 2:0 მოიგო, პუიოლი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. დღეს მას ჩაუტარებენ სამედიცინო გამოკვლევას, თუმცა აქედანვე ცხადია, რომ ის ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგისა და პრიმერადივიზიონის უახლოეს მატჩებში.

### "რომა" "არსენალს" პიზაროს გარეშე დაუპირისპირდება

"რომას" ნახევარმცველი დავიდ პიზარო ვერ გამოვა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებით მატჩში, რომელშიც რომაელები "არსენალს" დაუპირისპირდებიან. პიზარომ ტრავმა მიიღო იტალიის ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩში "უდინეზესთან". მან მხრის კუნთი დაიზიანა და პირველივე ტაიმში შეცვალეს. თუ რა დრო დასჭირდება მოთამაშის რეაბილიტაციას, სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი.

### პაულო ფერეირამ სეზონი დაასრულა

"ჩელსის" პორტუგალიელ მცველს პაულუ ფერეირას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა, რის გამოც ნაადრევად დაასრულა მიმდინარე სეზონი. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა ლონდონელთა თავკაცმა გუუს ჰიდინკმა.

### პლატინი ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესების მომხრეა

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი აღნიშნავს, რომ დადებითად აფასებს ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების მიერ ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებას. "მე ვემხრობი ლეგიონერების შემცირების იდეას ეროვნულ ჩემპიონატებში - ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს კლუბებს, რათა თავიანთ აღზრდილებს მისცენ გარკვეული ასპარეზი, რაც ამ ქვეყნის საფეხბურთო დონეს აამაღლებს, მეორე მხრივ კი ასეთი გადაწყვეტილება გარკვეული ბარიერი იქნება იმ ლეგიონერებისთვის, რომელთა ოსტატობის დონე არცთუ მაღალია," - ამბობს პლატინი.

### რიბერი ტურინისკენ იყურება

"ბაიერნის" ფრანგ ნახევარმცველს ფრანკ რიბერის სურს დატოვოს თავისი ახლანდელი კლუბი და გადავიდეს იტალიის "იუვენტუსის" შემადგენლობაში. გერმანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, რიბერის გაურთულდა ურთიერთობა თანაგუნდელებთან და უკმაყოფილოა იმ შედეგებით, რომელსაც კლუბი ამ ეტაპზე აჩვენებს. "ბაიერნის" პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი აცხადებს, რომ კლუბს არ სურს მოთამაშის გაშვება, თუმცა იმასაც დასძენს, რომ არ იცის როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, როცა ფეხბურთელის სურვილი ცალსახაა - დატოვოს კლუბი.

## "ბარსელონამ" მიიღო წინადადება კრკიჩის გაყიდვის თაობაზე

"ბარსელონას" შტაბბინაში დაადასტურეს, რომ რამდენიმე წინადადება მიიღეს კლუბებიდან 18 წლის თავდამსხმელის ბოიან კრკიჩის გაყიდვასთან დაკავშირებით. "კრკიჩს "ბარსელონასთან" აქვს კონტრაქტი და მასზე ჩვენი გუნდი დიდ იმედს ამყარებს. მისი მომავლის საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება. რამდენიმე სახელოვანმა გრანდმა მოგვმართა მისი შეძენის წინადადებით, მაგრამ სეზონის დასრულებამდე ამ საკითხს არც განვიხილავთ", - ნათქვამია კატალონიური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

## დელ პიერო იტალიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია

ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი ალესანდრო დელ პიერო იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელთა შორის ყველაზე პოპულარულად აღიარეს.

საზოგადოებრივი გამოკითხვა კოლექციური სტიკერების ცნობილმა მწარმოებელმა კომპანია Panini-მ ჩაატარა. ხმის მიცემა კომპანიის ოფიციალური ვებგვერდის ან ტელეფონის საშუალებით იყო შესაძლებელი. გამოკითხვაში 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე მეტი - 9916 ხმა იუვენტუსის კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ დააგროვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ტურინელთა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა, ინტერის თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ნაპოლის ფორვარდმა ეზეკიელ ლავესიმ და მილანის ლიდერმა კაკამ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეიქმნა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ:

ბუფონი ( იუვენტუსი ), მაიკონი ( ინტერი ), კიელინი ( იუვენტუსი ), გამბერინი ( ფიორენტინა ), დონი ( ატალანტა ), კაკა ( მილანი ), ჰამშიკი ( ნაპოლი ), ნედვედი ( იუვენტუსი ), ლავესი ( ნაპოლი ), იბრაჰიმოვიჩი ( ინტერი ), დელ პიერო ( იუვენტუსი ).

## ვენგერს ფეხბურთელების დაცვა სურს

ლონდონის არსენალის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ტექნიკური ფეხბურთელები მსაჯებისგან განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცულნი.

მან მაგალითად დაასახელა მანჩესტერის ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ, რომლის წინააღმდეგ მეტოქე ფეხბურთელები ხშირად უხეშობენ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მანჩესტერი არბიტრებისგან მეტისმეტად დაცულია, ხოლო ხანდახან ყველაფერი პირიქითაა. საგულისხმოა რონალდუს მაგალითი. ხანდახან მისი მაღალფარდოვნება მეტოქეებს პროვოცირებას უკეთებს, მაგრამ არასწორია, როდესაც მოთამაშე დაუცველია. უხეში დარღვევები უნდა დაისაჯოს, ხოლო უხეშად მოთამაშეები მოედნიდან გააძევონ , - დასძინა ვენგერმა.

## "ბეტისის" მფლობელი საავადმყოფოში მოათავსეს

ესპანური ბეტისის მფლობელი რუის დე ლოპერა სევილიის ჰოსპიტალში მოათავსეს.

ამის შესახებ კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა განაცხადა. განცხადებაში ნათქვამია, რომ გამძაფრებული პლევროპერიკარდიტის შედეგად გამოწვეული ტკივილების გამო ლოპერას მდგომარეობა სერიოზულია. ამასთან, მოსალოდნელია სერიოზული პათოლოგიები . ასევე, ბეტისის მფლობელი გულის არეში სისხლდენითა და პნევმონიის ერთ-ერთი ფორმით იტანჯება. კარგი სიახლეა იმ მხრივ, რომ პაციენტი, სხვა გართულებების გარეშე, სტაბილურადაა . უცნობია, თუ კიდევ რამდენ ხანს დაყოფს ლოპერა საავადმყოფოში. პრიმერადივიზიონის უახლოეს ტურში მისი კლუბი მალიორკას ეთამაშება და შეეცდება, რომ ლიგიდან გავარდნის ზონას კიდევ უფრო დაშორდეს.

## გამოძიება დროებით შეწყდა

გერმანიის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომისიამ ჰოფენჰაიმის მცველების - 26 წლის ავსტრიელ ანდრეას იბერცბერგერისა და 24 წლის გერმანელ კრისტოფ იანკერის წინააღმდეგ მათ მიერ 7 თებერვალს მიონხენგლადბახის ბორუსიასთან სტუმრად ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ დოპინგშემოწმებაზე 10 წუთით დაგვიანების გამო წარმოებული გამოძიება დროებით შეწყვიტა.

მიზეზი: გამოძიებამ დაადგინა, რომ ფეხბურთელთა მხრიდან დოპინგშემოწმებისგან თავის არიდება ან მასზე გამოუცხადებლობა არ ყოფილა.

გერმანიის ფეხბურთის კავშირის დოპინგსაწინააღმდეგო წესების თანახმად, მოთამაშე, რომელმაც დოპინგშემოწმება უნდა გაიაროს, შესამოწმებლად მატჩის დასრულებისთანავე უნდა წარდგეს. იბერცბერგერი და იანკერი კი ამ შეხვედრის მერე, 10 წუთით, მწვრთნელ რალფ რანგნიკის მიერ მოწყობილ გარჩევაზე შეყოვნდნენ. მათგან აღებულ სინჯებში აკრძალულ ნივთიერებათა კვალი არ აღმოჩნდა, თუმცა დაგვიანების გამო კავშირის სადისციპლინო კომისიამ - დოპინგსაწინააღმდეგო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე - გამოძიება დაიწყო.

ყველაზე ცუდ შემთხვევაში ფეხბურთელებს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდათ. 2009 წლის 29 იანვარს სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ სწორედ ასეთი ვადით მოკვეთა ბრეშიელი დანიელე მანინი და დავიდე პოსანცინი, რომელთაც 2007 წლის დეკემბერში დოპინგშემოწმებაზე ზუსტად ასევე დააგვიანეს.

თუმცა იანკერისა და იბერცბერგერის საქმე ჯერ დახურული არ არის. სადისციპლინო კომისია აპირებს კლუბსა და მის დოპინგსაწინააღმდეგო საქმეთა ოფიცერს წაუყენოს ბრალი და თუ მათი საქმის განხილვისას ფეხბურთელებთან დაკავშირებითაც რაიმე ამოტივტივდება, კომისია ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ დროებით შეწყვეტილ გამოძიებას განაახლებს. კლუბს ამ ფაქტის გამო 150 ათასი ევროთი დაჯარიმება და ქულის ჩამორთმევა ემუქრება.

# სხვა გუდაური სად არის

გიგა გურასაშვილი

*ამ ლამაზ მთებში გუდაურისა*
*ისეთი თეთრი ცეცხლი ანთია,*
*მგონი ქვეყანას მზე განურისხდა*
*და ყველა სხივი აქ დააფრქვია.*

ეს სიტყვები, უფრო სწორად, ეს სტროფი მთების დიდ ქომაგს, გუდაურის სამთოსათხილამურო ცენტრის დამაარსებელს სოლიკო ხაბეიშვილს ეკუთვნის. ვისაც თხილამურებით სრიალი უყვარს და, უქმეებზე მაინც, გუდაურის გზას მიუყვება, ალბათ იცის, ვისი გატკეპნილია ეს გზა.

ასე გაუყვნენ შაბათს გუდაურის გზას სოლიკო ხაბეიშვილის მეგობრები და ახლობლები. 6 მარტს სოლიკო ხაბეიშვილს 74 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღის აღსანიშნავად 7 მარტს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ვეტერან სპორტსმენთა ტრადიციული ასპარეზობა გაიმართა გიგანტურ სლალომში. ამჯერად მეთოხმეტედ. იყვნენ როგორც ქალბატონები, ისე ჭაღარაშერეული ბატონები.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა 70-მდე მონაწილე ორ - უმცროსი და უფროსი ასაკის კატეგორიებად დაყვეს.

სოლიკო რომ არა, დიდი ალბათობით გუდაური არ იქნებოდა. ეს ის კაცია, რომელიც იმსახურებს იმდენ ყურადღებას და პატივისცემას, რომ მისი სახელობის ტურნირმა იარსებოს. წლების განმავლობაში კარდაკარ დავდივართ, რომ შემოწირულობებით ტურნირი ჩატარდეს, - ამბობს სოლიკო ხაბეიშვილის მეგობარი და შეჯიბრების



*დათო ჯაფარიძემ საკუთარ კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო*

ერთ-ერთი ორგანიზატორი გურამ ბაკურაძე, - ამ ხნის ხალხი ვართ, ცას ხომ არ გამოვეკერებით. ამიტომ გადავწყვიტეთ, სოლიკოს მემორიალის არსებობისთვის, ესტაფეტა გადაგვეცა შედარებით უმცროსებისთვის .

ასაკობრივი კატეგორიები კი ასეთი იყო: 40-დან 60 წლამდე და 60-დან ზევით.

სოლიკო ჩვენი დიდი მეგობარი იყო. ეს ის ადამიანია, რომელმაც მსოფლიო საკურორტო ზონას გუდაური შემატა. სოლიკო ჩვენი და არა მარტო ჩვენი თაობის კერპია, - ამბობს ტურნირის ერთ-ერთი მონაწილე და უმცროსი ასაკის კატეგორიაში გამარჯვებული დათო ჯაფარიძე, რომელიც ახალგაზრდობაში ველოსპორტს მისდევდა და დღეს გუდაურში სამაშველო სამსახურში მუშაობს. რაც მთავარია, წლეულს პირველად მოსინჯა ძალა შეჯიბრებაში და პირველივე მცდელობაზე გაიმარჯვა.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ: ადამიანი, რომელმაც გუდაური რეალობად აქცია, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ გუდაურშივე არსებულმა კომპანიებმა ითავონ ტურნირის მასპინძლობა. კარგი იქნება, თუ სოლიკო ხაბეიშვილის ტურნირს საერთაშორისო სტატუსიც მიენიჭება.

*მეტყვით, - მთით ნეტავ აქ ვის აკვირვებ,*
*სადაც უშბაა, სადაც შხარაა, -*
*მაგრამ მე მაინც ჩემსას დავყივლებ:*
*სხვა გუდაური არსად არაა.*
*სხვაგან, სხვა მთებში ბუდობს დემონიც,*
*იცის ეს, ვისაც მთებში უვლია, -*
*გუდაური კი ჰგავს დეზდემონას,*
*აქ მხოლოდ თეთრი სიყვარულია.*

**სოლიკო ხაბეიშვილის მემორიალი**

**ქალები, უმცროსი ასაკი:**
1. ნათია მიქელაძე
2. ირიტა ბერძენიშვილი
3. სტეფანი კომბა

**ქალები, უფროსი ასაკი:**
1. ინგა მიქელაძე
2. ევგენია ჭავჭანიძე
3. ქეთი ახვლედიანი

**კაცები, უმცროსი ასაკი:**
1. დათო ჯაფარიძე
2. ზურა რუხაძე
3. კოტე გაბრიჩიძე

**კაცები, უფროსი ასაკი:**
1. ზურა ვაშაკიძე
2. ელგუჯა ორჯონიკიძე
3. შოთა ელისაშვილი

# ორი მატჩი და ერთი გამარჯვება

ამ უქმეებზე NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" ორი მატჩი გამართა. ჯორჯიელები თანადივიზიონელმა "შარლოტ ბობქეთსმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა. "შარლოტი" "ატლანტასთვის" უხერხული მეტოქეა - ამ გუნდების უკანასკნელი ხუთივე მატჩი "ბობქეთსის" გამარჯვებით დასრულდა. მასპინძლებმა შეხვედრა მოიგეს პირველივე მეოთხედში, რომელიც ბობქეთსის სასარგებლოდ ანგარიშით 36:21 დასრულდა. დანარჩენმა სამივე მეოთხედმა სტუმართა მცირე უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ ჩამორჩენის გასაბათილებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ "შარლოტმა" 98:91 გაიმარჯვა.

ამ თამაშს ვერც ზაზა ფაჩულია ჩაიწერს საკუთარ აქტივში. ჯორჯიელთა ქართველი ცენტრი სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო მატჩში და მოედანზე გატარებულ 13.22 წუთში მხოლოდ 2-2 ქულა და მოხსნა მიითვალა. ამასთან, ქართველს ერთხელ დაუფარეს. ატლანტელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ფაჩულიას უშუალო კონკურენტი ალ ჰარფორდი, რომელმაც, 15 ქულასთან ერთად, 7 მოხსნაც მოიხვეჭა. ჯორჯიელებს 14-14 ქულა შეაშველეს მაიკ ბიბიმ და ფლიპ მიურეიმ.

ამის შემდეგ ატლანტამ დეტროიტს უმასპინძლა და ანგარიშით 87:83 გაიმარჯვა. ზაზა ამ მატჩშიც სათადარიგო იყო. ქართველმა მოედანზე 11 წუთი დაყო და თავის გუნდს 5 ქულა და 4 მოხსნა შეაწია.

იყოჩაღეს ევროპაში მოასპარეზე ქართველმა კალათბურთელებმა. ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატში პირველი მატჩი წააგო გიორგი ცინცაძისა



*უქმეებზე ფაჩულიამ ორიდან ერთი თამაში მოიგო*

და ვიქტორ სანიკიძის როკმა , თანაც საკუთარ მოედანზე. თუმცა ეს მარცხი ქართველების ბრალი არ ყოფილა. მეტიც, სანიკიძემ და ცინცაძემ შესანიშნავად ითამაშეს. ტრადიციულად, მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო გიორგი ცინცაძემ. მოედანზე გატარებულ 36.16 წუთში მან 17 ქულა (12-დან 6 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 6 შედეგიანი გადაცემა, 3 მოხსნა და ერთი ჩაჭრა დააგროვა.

ასევე სასტარტოში იყო და ცენტრის პოზიციაზე გაისარჯა ვიქტორ სანიკიძე. ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 31.43 წუთი დაჰყო, თუმცა ეს დრო ეყო იმისთვის, რომ მატჩის მონაწილეთა შორის ყველაზე მეტი ქულა და მოხსნა დაეგროვებინა. სანიკიძის 10 ორქულიანიდან 7-მა მიზანს უწია, პერიმეტრიდან 4-ჯერ გაისროლა და აქედან მხოლოდ ერთი გამოუვიდა შედეგიანი, რასაც 4 ზუსტი (5-დან) საჯარიმო დაურთო და ჯამში 21 ქულა მოუგროვდა. ამის გარდა, მან 9 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი გააკეთა.

მანუჩარ მარკოიშვილის ბკ კიევმა უკრაინის ჩემპიონატში მეცხრამეტე გამარჯვება მოიპოვა. დედაქალაქელებმა საკუთარ მოედანზე სუმიხიმპრომს დაძაბულ ბრძოლაში 72:67 სძლიეს.

ბკ კიევის ქართველმა ლეგიონერმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, რაც კალათბურთში იშვიათი მოვლენაა. თუმცა, ფინანსური კრიზისის გამო სულ ცოტა ხნის წინ კიეველთა გუნდი ექვსმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, რამაც გუნდის სათადარიგოთა სკამი საგრძნობლად დაამოკლა. მარკოიშვილმა 19 ქულა (10-დან 4 ორქულიანი, 8-დან 2 სამქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო) მოიპოვა და მატჩის მონაწილეთაგან მხოლოდ თანაგუნდელ ვიაჩესლავ კრავეცს (20 ქულა) ჩამორჩა. ამის გარდა, მანუმ 8 მოხსნა (კიევში საუკეთესო შედეგი) და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

უკრაინის ჩემპიონატში ისევ ორხელისუფლებიანობაა. გათამაშების ცხრილს 19-19 მოგებით სათავეში უდგანან ბკ კიევი და აზოვმაში . ამ უკანასკნელმა შაბათს ნიკოლაევი იოლად დაჩაგრა და საბოლოოდ 17 ქულის სხვაობით - 102:85 სძლია.

## განცხადება
## სს "საქტრაქტორის" ქონების აუქციონის გზით რეალიზაციის შესახებ

სს საქტრაქტორი -ს გაკოტრების მმართველი აცხადებს სს საქტრაქტორი -ს და სს ტრაქტორი -ს საერთო საკუთრებაში არსებული და კუთვნილი ქონების (დამოუკიდებელი საკუთრება) რეალიზაციას განმეორებითი გზით.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

1. სს საქტრაქტორი -ს და სს ტრაქტორის საერთო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (ფართი - 50750,15 კვ.მ.) და მათზე დამაგრებული საერთო საკუთრების მიწის ფართი 49869,15 კვ.მ.
2. დამოუკიდებელ საკუთრებაში არსებული შენობ-ნაგებობები 3055,65 კვ.მ. და მათზე დამაგრებული სს საქტრაქტორის და სს ტრაქტორის საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ფართი 906,05 კვ.მ.
3. ფეხით გადასასვლელი ხიდი
4. ღობე
5. შიგა წყალკანალიზაცია
6. დრენაჟი
7. გარე განათება
8. საკასო აპარატი
9. სს საქტრაქტორის და სს ტრაქტორის საერთო საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი ფართით 19184 კვ.მ. განთავსებული ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე. მისამართი: ახალგაზრდობის გამზ. №19.

ზემოთ ჩამოთვლილი ქონების საერთო ღირებულებაა 3 262 163 დღგ-ს ჩათვლით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა ქონების შესაძენად უნდა გადაიხადონ ბე -ს თანხა სს საქტრაქტორის საბანკო ანგარიშზე, შესაძენი ქონების 0,01% სს საქართველოს სახალხო ბანკის ქუთაისის ფილიალში ანგ. №36080068. ბანკის კოდი 220101420.

აუქციონი ჩატარდება ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №19-ში მიმდინარე წლის 24 მარტს, დღის 1 საათზე.

აუქციონის მონაწილეებს დაწვრილებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №19-ში.

ტელეფონის ნომერი: 897-57-77-88
საკონტაქტო პირი: ელგუჯა გოდოლაძე
სს ტრაქტორი -ს
გაკოტრების მმართველი: /ე. გოდოლაძე/

## განცხადება
## სს "ტრაქტორის" ქონების აუქციონის გზით რეალიზაციის შესახებ

სს ტრაქტორი -ს გაკოტრების მმართველი აცხადებს სს ტრაქტორი -ს და სს საქტრაქტორი -ს საერთო საკუთრებაში არსებული და კუთვნილი ქონების (დამოუკიდებელი საკუთრება) რეალიზაციას განმეორებითი აუქციონის ჩატარებით.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

1. სს ტრაქტორი -ს და სს საქტრაქტორის საერთო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (ფართი - 50750,15 კვ.მ.) და მათზე დამაგრებული საერთო საკუთრების მიწის ფართი 49869,15 კვ.მ.
2. სს ტრაქტორის დამოუკიდებელ საკუთრებაში არსებული დაუმთავრებელი შენობა 186,26 კვ.მ. (მიწის ფართის გარეშე).
3. სს ტრაქტორის და სს საქტრაქტორის საერთო საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი ფართით 19184 კვ.მ. განთავსებული ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე (მისამართი: ახალგაზრდობის გამზ. №19).

ზემოთ ჩამოთვლილი ქონების საერთო ღირებულებაა 306000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა ქონების შესაძენად უნდა გადაიხადონ ბე -ს თანხა სს ტრაქტორის საბანკო ანგარიშზე, შესაძენი ქონების 0,5% სს საქართველოს სახალხო ბანკის ქუთაისის ფილიალში ანგ. №36080069. ბანკის კოდი 220101420.

აუქციონი ჩატარდება ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №19-ში მ/წლის 24 მარტს, დღის 2 საათზე.

აუქციონის მონაწილეებს დაწვრილებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №19-ში.

ტელეფონის ნომერი: 877 44-54-69
საკონტაქტო პირი: ზურაბ ვარდოსანიძე
ს/ს ტრაქტორი -ს
გაკოტრების მმართველი: /ზ. ვარდოსანიძე/

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საერთაშორისო ჰუმანიტარული ასოციაცია "ბეთელი", გერმანული ორგანიზაცია **Diakoie Katastrophenhilfe (DHK)** და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებით ახორციელებს მცხეთის რაიონის სოფ. ზურგოვანში მდებარე მოხუცთა საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციას.
ამასთან დაკავშირებით
ორგანიზაცია აცხადებს ღია ტენდერს აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად.

### სატენდერო პირობები

პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- სარეგისტრაციო დოკუმენტი;
- გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება (გაკოტრება ან რეაბილიტაცია);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
- პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელ. ფოსტა);
- ინფორმაცია 2009 წლის 1 მარტის მდგომარეობით დებიტორულ კრედიტორული დავალიანების მითითებით;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის სამუშაოების განხორციელების შესახებ;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს მსგავსი ხასიათის მინიმუმ ორი სამუშაო;
- ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაო, საერთო ღირებულებით მინიმუმ 300 ათასი ლარის ოდენობით;
- ინფორ. წარმოდგ. იქნას ქვ. მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა თუ კონფიდენციალური არ არის |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |

- ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (გარანტირება, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით).
- გამარჯვებულმა იურიდიულმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცემების 9.1 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს;
- სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, ასოციაციის თბილისის ოფისიდან 2009 წლის 10 მარტის 10:00 საათიდან 2009 წლის 20 მარტის 15:00 საათამდე მისამართზე: დიდი დიღმის ტერიტორია. მუხათგვერდის სასაფლაოს გზაზე, (ამერიკის სოფელთან) მოხუცთა თავშესაფრის შენობა. ტ 59 49 86.
- სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 23 მარტს 14:00 – საათზე, იგივე მისამართზე.
- სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 300 (სამას) ლარს.

მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: საერთ. საქვ. ჰუმანიტ. ასოციაცია "ბეთელი"
ს/კ 202065629. მიმღების ბანკი: "თი ბი სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101830 ანგარიში: 3700206

გადახდის დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

- ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას იგივე მისამართზე არაუგვიანეს 21 მარტის შაბათისა დღის 17:00 საათამდე;
- დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ განიხილება;
- სავალდებულოა ხარჯთაღრიცხვა შეივსოს დამკვეთის შედგენილი ფორმით და მოთავსდეს სხვა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად დალუქულ კონვერტში;
- დალუქული კონვერტის გარეშე საბუთები არ მიიღება;
- პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება.

**სატენდერო კომისია**

# The New York Times offers a “window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".




*ამ უქმეებზე მსოფლიო საჩოგბურთო სამყაროს დევისის თასის გათამაშების ტალღამ გადაუარა. ყურადღება მიიპყრო შვედეთისა და ისრაელის ნაკრებთა დაპირისპირებამ. მალმოში (შვედეთი), "ბალტიკ არენაზე", მასპინძელთა და ისრაელის ნაკრებთა დაპირისპირებას წინ უძღოდა საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეები ისრაელის ნაკრების გათამაშებიდან მოხსნის მოთხოვნით გამოდიოდნენ. მოწოდება ასე ჟღერდა: "შეწყვიტეთ მატჩი", "არა ძალადობას" (ისრაელის მხრიდან ღაზას სექტორზე განხორციელებული სამხედრო ოპერაცია იგულისხმება). აქციის მონაწილენი თანდათან ისე ახმაურდნენ, რომ მათ დასაშოშმინებლად სამართალდამცავებს უხმეს. მათ გამოჩენას კი ის მოჰყვა, რომ 6 ათასამდე პროტესტანტმა პოლიციას ქვები დაუშინა.*